ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი, 2021 | №202 (8731) | ფასი: 60 თეთრი



გვ.5

**ყალბი კოვიდპასპორტი 70 ევროდ**

12 პირი პასუხისგებაში მისცეს

**„რუსთავის ციხესთან სააკაშვილის საგინებლად თითო კაცს 50 ლარი გადაუხადეს“**

რას ყვება აქციის მონაწილე




გვ.5

# „სააკაშვილს ციხიდან მშვიდობიანი, არაძალადობრივი მეთოდებით გამოვიყვანთ“



გვ.3

გიორგი ბარამიძე: „სააკაშვილი – ჩემი მეგობარი, ძმაკაცი, ლიდერი და პრეზიდენტი – ეროვნული გმირია“

**„როდესაც ადამიანი ივანიშვილის დაქვემდებარებაში ხვდება, მერე ამ ყაიდაზე ეწყობა. ამ თოჯინებს ივანიშვილი ქოქავს“**



## „ხელისუფლება მიტინგებს არ უნდა მართავდეს“



გვ.3

გოგი წულაია: „ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ნულოვანი ბარიერით უნდა გაიმართოს“

## „სააკაშვილი ციხის საავადმყოფოში დაცული არ იქნება“

ლია მუხაშავრია: „უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურება მიიღოს იქ, სადაც სურს“



გვ.4

## „ხელისუფლებამ ასეთი სადიზმით სააკაშვილი შეიძლება ციხეში მოკლას“



გვ.2

მამუკა გვაძაბია: „არც ერთ ხელისუფლებას არ უცდია კონტრაქციის გამართვა“

**შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილი არ კვდება და მის სიკვდილს არავინ დაუშვებს“**



გვ.2



გვ.4

**პაატა ბურჭულაძე ქუთაისის საოპერო თეატრში არ შეუშვეს**

ISSN 1987-9385

2 ირაკლი ზარქუა: „ქალბატონი ლომჯარია ნაცმოძრაობის იდეების გამტარებლად ჩამოყალიბდა“

5 ზურაბ თოდუა: „სამხარაულის ექსპერტიზით ბაბუის მიერ შვილიშვილის გაუპატიურება არ დასტურდება“

5 ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გოჩა ხარატიშვილმა თვითმკვლელობა ცადა

6 ბორის ჯონსონი: „გაერთიანებული სამეფოსა და რუსეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობს“

# შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილი არ კვდება და მის სიკვდილს არავინ დაუშვებს“

– მიხეილ სააკაშვილი არ კვდება და მის სიკვდილს არავინ დაუშვებს. სახელმწიფო პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობაზე.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა პაპუაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, რომ თუ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს სტაციონარში მის განთავსებას, ეს ასეც მოხდეს, რათა მას ჩაუტარდეს სრულფასოვანი დიაგნოსტირება და მკურნალობა.

ამასთანავე, როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, თუ პენიტენციარულ სისტემაში არსებულ კლინიკაში არ იქნება საჭირო აპარატურა, გამოყენებული იქნება მობილური აპარატურა ან სააკაშვილს კვლევებისთვის გადაიყვანენ შესაბამისი აპარატურის მქონე კლინიკაში და კვლევების დასრულებისთანავე უკან დააბრუნებენ.

– დღეს ყველა თანხმდება, ექიმიც, სასჯელაღსრულების დაწესებულებაც, თავად მიხეილ სააკაშვილიც, რომ მისი ფიზიკური მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ საჭიროებდეს სტაციონარში გადაყვანას. მეორე, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მას დასჭირდა სტაციონარში გადაყვანა? ამასთან დაკავშირებით განაცხადა იუსტიციის სამინისტრომ, რომ ის განთავსდება მე-18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელშიც არის სრული ინფრასტრუქტურა, რათა მიხედოს მოშიმშილე პატიმარს.

მესამე კითხვაა, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მას დასჭირდება ისეთი კვლევა, რომელიც შესაძლოა, მე-18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ იყოს, ამაზეც განმარტებები გაკეთდა, რომ არის მობილური აპარატები, რომლებსაც, თუ საჭირო იქნება კვლევის ჩატარება, მიიტანენ და ჩაუტარებენ ან თუ საჭიროა სადმე მიყვანა, რომ კვლევა ჩატარდეს და მერე დაბრუნდნენ, ამასაც გააკეთებენ.

მიხეილ სააკაშვილი არ კვდება და მის სიკვდილს არავინ დაუშვებს. სახელმწიფო პა-



სუხისმგებელია, რა თქმა უნდა, მის ჯანმრთელობაზე. ის, რომ ის შიმშილობს თუ თავს იკავებს საკვების მიღებისგან, რა თქმა უნდა, თავის თავს ამით ზიანს აყენებს, მაგრამ სახელმწიფო თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში იზრუნებს იმაზე, რომ თუკი მას დასჭირდა სტაციონარული განთავსება, განათავსებს სტაციონარში, ჩაუტაროს ყველა კვლევა და სათანადო მკურნალობა.

სხვა შემთხვევაში სპეკულანტობა როცა არის, სპეკულანტებმა უნდა შეწყვიტონ სპეკულაცია. ეს არის ყველაზე სამართლიანი გამოსავალი. ჩვენ გვავიწყდება მთავარი – მიხეილ სააკაშვილი დღეს იხდის სასჯელს, შესაბამისად, მისი მკურნალობაც მოხდება იმ სტანდარტით, რასაც ჰქვია სასჯელის მოხდის პარალელურად მკურნალობა, ეს არ ნიშნავს მის გათავისუფლებას და მკურნალობას და შემდეგ მის დაბრუნებას ციხეში. საავადმყოფო №18 იმიტომაც არსებობს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომ პატიმრებს ემსახურება და იქ მკურნალობენ ისეთ პირობებში, რომ, ამავე დროს, მათ შეზღუდული აქვთ თავისუფლება, ეს არის იდეა. თუკი შეფარულად ეს არის იმის თქმის სურვილი, რომ რაღაცნაირად გავათავისუფლოთ მიხეილ სააკაშვილი სასჯელისგან, მაშინ ასე თქვან, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# ირაკლი ზარქუა: „ქალბატონი ლომჯარია ნაცმოძრაობის იდეების გამტარებლად ჩამოყალიბდა“

– სამწუხაროდ, ქალბატონი ლომჯარია ჩამოყალიბდა ნაციონალური მოძრაობის ინტერესების, მათი უფლებების, რაღაც იდეების გამტარებლად.



ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რითაც უპასუხა სახალხო დამცველის განცხადებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

ირაკლი ზარქუას შეფასებით, ნინო ლომჯარიას დღის წესრიგი მიხეილ სააკაშვილის თემით იწყება და სრულდება.

– მას რომ შეესწავლა ამ წლების განმავლობაში, რა ხდებოდა, როგორი იყო პატიმრების უფლებები შელახული იმ რეჟიმის დროს და პირიქით ეთქვა, ეს გამოძიებული არის თუ არაო, თუმცა არც დაინტერესებულა. ბატონი სააკაშვილის დროს უკვე ყოველდღიურად ბრიფინგებს ატარებს, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მას დღის წესრიგი პირდაპირ სააკაშვილით აქვს დაწესებული და სააკაშვილით ამთავრებს, თუმცა, ესეც მისი არჩევანია. უბრალოდ, ჩვენ ფაქტებს ვაანალიზებთ და ეს ფაქტები ამაზე მეტყველებს, – განაცხადა ზარქუამ.

ირაკლი ზარქუამ ასევე უპასუხა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ კითხვას და განაცხადა, რომ მათი მმართველობის პირობებში არც ერთ პატიმარს საფრთხე არ ემუქრება.

– ყველა ადამიანს, მათ შორის პატიმარს, აქვს უფლება, გამოხატოს პროტესტი, შიმშილობაც ერთგვარი პროტესტია, სავარაუდოდ. სხვა ადამიანები, ვინც არ ეთანხმებიან მსჯავრს, შიმშილობით გამოხატავენ პროტესტს, ამის გამო გამოუშვან, გამორიცხულია, ამაზე ვთანხმდებით.

ჩვენ გვაქვს შესაბამისი უწყება, რომელიც 2012 წლის შემდეგ რადიკალურად არის შეცვლილი, გაუმჯობესებულია თითოეული პატიმრის მდგომარეობა.

ეს ნიშნავს იმას, რომ თუ იქნება საჭიროება, გადაყვანილი იქნება შესაბამის დაწესებულებაში. იქაც თუ მომსახურეობის პრობლემა იქნება, მობილურობით იქნება ეს მომსახურება გაწეული.

ახლა პატიმარი მოითხოვს, რომ კერძო კლინიკაში გადამიყვანეთო, ეს ხომ აბსურდია. ჩვენ თითოეულ პატიმარს პატივს ვცემთ და მათი უფლებები დაცული იქნება.

მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ არის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათ შორის შესაბამისი უწყების ზედამხედველობის ქვეშ. ასე რომ, არც ერთ პატიმარს საფრთხე არ ემუქრება ჩვენი მმართველობის ქვეშ ციხეში, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

# „ხელისუფლებამ ასეთი სადიზმით სააკაშვილი შეიძლება ციხეში მოკლას“

## მამუკა გვაძაბია: „არც ერთ ხელისუფლებას არ უცდია კონტრაქციის გამართვა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, რამდენიმე დღეში ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური გაიმართება. ამბობენ, რომ ყველაზე დაძაბულ რეგიონად სამეგრელო ითვლება. რამდენიმე დღის წინ იმაზეც იყო საუბარი, რომ ხელისუფლებამ ზუგდიდში სპეცრაზმი შეიყვანა. თქვენ ზუგდიდში იმყოფებით, აკვირდებით სიტუაციას. რა ხდება, რის თქმა შეგიძლიათ?***

– ყოველგვარი პათეტიკისა და გადაჭარბების გარეშე გეტყვით, რომ ხელისუფლება აგონიაშია. საქართველოს უახლეს ისტორიაში რამდენი ხელისუფლების ცვლილების, რევოლუციის, გადატრიალებისა და რის მომსწრე არ ვარ, მაგრამ ასეთი რაღაც, რასაც ახლა ხელისუფლება ცდილობს, რომ გააკეთოს, არსად არ გამიგონია. ისეთი პოლიტტექნოლოგიები, როგორსაც დღეს ეს ხელისუფლება იყენებს, საერთოდ არ მსმენია. ეს არის გაუგონარი რამ. მართლაც აგონიაში არიან, ხვდებიან, რომ მათი დღეები დათვლილია. ვურჩევ, მათთვისვე იქნება უკეთესი, ნუ გააკეთებენ ამას, ისე წავიდნენ ხელისუფლებიდან, რომ ამ ქვეყანაში დაედგომებოდეთ.

***– ასეთს რას სჩადიან?***

– რას არ კადრულობენ. პირადობის მოწმობებს ართმევენ ხალხს, არჩევნებზე რომ არ წავიდნენ, სანაცვლოდ ფულს სთავაზობენ, მიდის დაშინება, კუნთების ტრიალი და ასე შემდეგ.

***– რატომ, აგებს ხელისუფლება ზუგდიდს?***

– აგებს, რა თქმა უნდა, ამიტომაც არიან ამ დღეში. უკვე იმდენი რამე აქვთ დაშავებული და გაშავებული, ძალიან ეშინიათ, რომ ეს ყველაფერი მოეკითხებათ. ქვეყანა წინ უნდა წავიდეს, ახლა შურისძიების დრო არ არის, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ არავინ არ აპირებს ამ გაყალბებასთან შეგუებას. რა საჭიროა ვილაც კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი ბიჭების გამოგზავნა თუნდაც თბილისიდან და სხვადასხვა რეგიონიდან.

***– გამოგზავნეს?***

– რა თქმა უნდა, გამოგზავნეს. ვნახე, სასტუმროში ცხოვრობენ მალულად. ჯერ კიდევ დაუსრულებელ სასტუმროში, სადაც ვიზიტორების მიღება არ არის, იქ შეასახლეს. კუნთებზე იყურებიან და აგრესიას გამოხატავენ. იმუქრებიან, უნდა დავამთავროთ ეს ორგანიზაციაო, ნაციონალებს გულისხმობენ. 9 წელია, ამთავრებენ და ვერ დაამთავრეს. ვერც ვერავის ვერ დაამთავრებენ.

***– მოსახლეობის დაშინების მცდელობა მიმდინარეობს სამეგრელოში?***

– დაშინებაა, აბა, რა არის?! ხვალ რომ აქცია აქვთ დაგეგმილი თბილისში, დაიარეს აბსოლუტურად ყველა საბიუჯეტო სამსახური, ყველა თანამშრომელს მოსთხოვეს თბილისში წასვლა თავიანთი ოჯახის წევრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაშვებით ემუქრებიან, პირდაპირ და ღიად ეუბნებიან, აქციაზე თუ არ მოდიხარ, მაშინ დატოვე თანამდებობაო. აი, ასეთი ღია მუქარებია.

***– ადმინისტრაციული რესურსის მობილიზაცია ხდება?***

– მაქსიმალურად. თანაც ამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასაც ხომ გააჩნია, რა ფორმით ხდება ის. ოჯახის წევრზეც კი ემუქრებიან.

***– ნაციონალებს უნდა აჯობონ? უფრო დიდი აქციის გამართვა უნდათ თუ რა განიზრახეს?***

– დიახ, ეს ამ ხელისუფლების იდეაფიქსია. არც ერთი ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებელ ისტორიაში ასე არ მოქცეულა. არც ერთ ხელისუფლებას არ უცდია კონტრაქციის გამართვა, გადატრიალების ეპოქაშიც კი. კონტრაქციის გამართვა ნიშნავს ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას! ხალხო, გაახილეთ თვალი და კარგად დაინახეთ, რა ხდება და რა დღეში ხართ! ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, ბიძინა გაცვდა, გაცვდა ეს ხელისუფლება! წინ სიარულის დროა. ენგურჰესის ადმინისტრაციის უმსგავსო საქციელზეც გეტყვით ორიოდე სიტყვას. პირდაპირ თანამშრომლობენ სეპარატისტულ რეჟიმთან, რათა გალის რაიონის ქართველი მოსახლეობა არ გადმოვიდეს და არჩევნებში არ მიიღოს მონაწილეობა. მოსახლეობას პირდაპირ ეზღუდება გადმოსვლა ენგურის ხიდზე. ძალიან ბინძური მეთოდებით, სეპარატისტებთან და ოკუპანტებთან თანამშრომლობით ხალხს ხმის მისაცემად არ უშვებენ. ამაზრზენი ფაქტია ეს და ძალიან ცუდად მიუბრუნდება ისევ მათ. დამშეულია ხალხი სამეგრელოში, საჭმელი არა აქვთ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კი ჩადის და 100 ათას დოლარიანი საათით „მარიაჟობს“ მოსახლეობის წინაშე. ამაზე მეტი სირცხვილი და ამაზრზენი ფაქტი არ არსებობს.

***– მოიგებს ოპოზიცია სამეგრელოს, როგორ ფიქრობთ?***

– ეჭვი არ მეპარება. დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია გაიმარჯვებს, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხელისუფლება ყველაფრის მკადრებელია. ყველაზე მეტად, იცით, რის მეშინია? ხელისუფლება თუ დამარცხდა, სამოქალაქო დაპირისპირების მცდელობას არ ჰქონდეს ადგილი.

***– ხედავთ ამ საფრთხეს?***

– ამ საფრთხეს ვხედავ. როგორ ახდენენ პროვოცირებას, ხომ ვაკვირდებით. ცენტრალური ხელისუფლება აცხადებს, იმ რეგიონში, სადაც ოპოზიცია მოიგებს, ბიუჯეტს არ მივცემთო. ამაზე მდაბიო განცხადება მოგისმენიათ სადმე?! რას ჰქვია, ბიუჯეტს არ მივცემთო. ეს კონსტიტუციით არის გარანტირებული და რა უფლებით არ მისცემენ. ამის საფრთხეც არსებობს. ამათგან ხომ გასაკვირი არაფერია. ეს არის პირდაპირი საბოტაჟი, წაგების შემთხვევაში, ხალხს ეუბნებიან, მშიერს დაგტოვებთ, მწყურვალს დაგტოვებთ, გზას გადაგიკეტავთ, შუქს არ მოგცემთო და ასე შემდეგ. საიდან მოვიდა ეს ხალხი?! თამამად შეიძლება ითქვას,



რომ კრიმინალი შეერწყა ხელისუფლებას, ქუჩის კრიმინალი, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფო პროგრამებზე, მეტადონის პროგრამებზე და ასე შემდეგ, აი, ამ ხალხს იყენებენ, როგორც ერთჯერადი მოხმარების ნივთებს. ყველანაირად ცდილობენ, როგორმე მოიგონ არჩევნები და დარჩნენ ხელისუფლებაში. არ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელიც ამ ხელისუფლებამ არ გამოიყენოს.

***– ბატონო მამუკა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი შიმშილობას აგრძელებს. ის არ გადაჰყავთ კლინიკაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით რას იტყვით?***

– ერთი პრეზიდენტი ხომ მოვკალით, ახლა მეორე პრეზიდენტიც უნდა მოვკლათ! მთელი მსოფლიო აგვითვალწუნებს, ამას ვერავინ გაიგებს. მე ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, რომ საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს და ახლა მეტად მიმტკიცდება ეს აზრი. ეს არის გაუგონარი რამ, პირდაპირ სადიზმია, პოლიტიკური სადიზმი, რომელსაც ეს ხელისუფლება სჩადის საქართველოს მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ! რა უნდათ, მიხეილ სააკაშვილი მოკლან ციხეში?!

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილს ციხიდან მშვიდობიანი, არაძალადობრივი მეთოდებით გამოვიყვანთ“

## გიორგი ბარამიძე: „სააკაშვილი — ჩემი მეგობარი, ძმაკაცი, ლიდერი და პრეზიდენტი — ეროვნული გმირია“

იაგო ნაცვლიშვილი

**როგორ ფიქრობს, რატომ ვაჭრობს სააკაშვილის ჯანმრთელობით „ოცნება“? გამართავენ თუ არა მის მხარდასაჭერად აქციებს მეორე ტურის შემდეგ და რას ფიქრობს „ოცნების“ დღევანდელ აქციაზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.**

***— რატომ ვაჭრობს სააკაშვილის ჯანმრთელობის თემით „ქართული ოცნება“? სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანით რა იცვლება მაშინ, როცა ასეთი შემთხვევები გვახსოვს? იგივე ვანო მერაბიშვილიც ხომ გადაიყვანეს თავის დროზე?***

— ნამდვილად მიჭირს იმის თქმა, როგორ მუშაობს ამათი გონება. მარტო ვანო მერაბიშვილი კი არა, 500-ზე მეტი პატიმარია გადაყვანილი სამოქალაქო კლინიკაში, როდესაც მათ დასჭირდათ ეს. ამიტომაც აქვს დადებული კონტრაქტი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო კლინიკებთან. ამის საჭიროება რომ არ იყოს, ეს არც მოხდებოდა. ჩვენ არაფერს განსაკუთრებულს არ ვითხოვთ. ხაზი მინდა გავუსვა, რომ მიხეილ სააკაშვილი თავად არაფერს ითხოვს, ჩვენ ვითხოვთ, მისი პარტია, გუნდი და ყველა ნორმალური ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილის მომხრეა თუ არა. ამ შემთხვევაში ეს არის ჰუმანიტარული საკითხი და ადამიანის ყოფნა-არყოფნას ეხება.

ერთადერთი ახსნა ისაა, რომ რაღაცის ეშინიათ. ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა ზიზღის ენით ლაპარაკობს და მისთვის მიუღებელია სხვა ადამიანების აზრი. ამ დროს თავად ისეთ რაღაცას აკეთებენ, რაც გააკეთეს





ჩვენი აქციის საწინააღმდეგოდ ყავარჯნებითა და ცოცხებით და საქართველოს დროშებით შემკულ მანქანებს ცოცხებსა და ყავარჯნებს ესროდნენ. ეს მათთვის კარგი იყო? ძალიან სულელი და ბრიყვი უნდა იყო, რომ გჯეროდეს, თითქოს ეს რაიმე პოზიტივს მოიტანს თუნდაც იმიჯის თვალსაზრისით. თუ ამას გააკეთებ, ვინმეს შეაშინებ?! 9 წელია, ნაცმოძრაობის განადგურებას ცდილობ — იჭერ, სცემ, აგდებ, პროკურატურაში იბარებ, ციხეში სვამ... ყველანაირ უბედურებას უკეთებ, ამით ვერ შეაშინე და ამით შეაშინებ?! ანუ ამ ქმედების რაციონალური მიზეზი რა არის, შეუძლია ვინმეს, თქვას?! ამიტომ რთულია გამოვიცნოთ ამათი ტვინის ნაოჭების პროდუქტი. ეს ხომ საკუთარი თავის დამაზიანებელია!

ან, მაგალითად, რატომ უნდა გააკეთო ის, რაც რუსთავში გააკეთეს. გინდა, ნაცმოძრაობას „შესტენო“, რომ მოძალადეა, დავით კირკიტაძის შტაბთან მიგყავს 30 კაცი დებოშის მოსაწყობად და იქ მომხდარ ჩხუბს ასაღებ იმად, რომ კირკიტაძე მიუვარდა ვილაცას. ამის პროპაგანდით არის დაკავებული მათი პიარსამსახური „ტვ იმედი“ თუ „ტვ ნადეჟდა“. გადაუწყვეტელი ამომრჩეველი როცა დაინახავს, რომ ხელისუფლება ამას აკეთებს, იმ ხელისუფლებას ხმას ნამდვილად აღარ მისცემს. რა ცეცხლს ეთამაშებიან, საერთოდ არ აქვთ გაცნობიერებული.

***— გაუაზრებლად აკეთებენ რაღაცებს?***

— არა, გაუაზრებლად კი არ აკეთებენ, არამედ ბოღმითა და ზიზღით. როდესაც ადამიანი რაღაცას აკეთებ ბოღმითა და ზიზღით, იქ გონება ითრგუნება. შურისძიება და ბოროტების გაკეთებაა მათი აზრი. ამას საბოლოო ჯამში საკუთარი თავისთვისაც ცუდი გამოსდის და ეს არის დამახასიათებელი ამათი მმართველობისთვის. ეს არის ოპონენტების განადგურება: „დაგამთავრებთ“, „გაგანადგურებთ“, „წერტილს დაგისვამთ“. მთელი ეს წელი ხომ ამას შეალიეს.

***— კი, მაგრამ ბოლო პერიოდში რაც გვესმის, მე ეს მასშტაბები არ მახსოვს წინა წლებში.***

— ეს იგივე ქმედებებია, უბრალოდ, მასშტაბი გაზარდეს. საპრეზიდენტო არჩევნებზე ეს არ იყო მათი მთავარი ლოზუნგი, რომ „არა სისხლიან ნაცებს“.

***— კი ბატონო, მაგრამ, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ ამბობს. ახლა პრემიერ-მინისტრი გამოდის ამ ზიზღის ენით ყოველდღე.***

— პრემიერი არ ამბობდა, დაგამთავრებთო? და სხვა პრემიერი კარგებს რომ აგინებდა ნიკა მელიას, ხომ გვახსოვს ეს? თანაც ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მოზომილი პრემიერი მაგათი გუნდიდან. შესაძლოა, კვირიკაშვილს სულ არ აქვს ეს ბუნებაში. მე მას კარგად ვიცნობ, კოლეგები ვიყავით პარლამენტში და სულ არ არის ისეთი ადამიანი შინაგანად, მაგრამ, როდესაც ივანიშვილის დაქვემდებარებაში ხვდება, მერე ამ ყაიდაზე ეწყობა. ამ თოჯინებს ხომ ივანიშვილი ქოქავს! მათგან ზოგიერთს ვიცნობ და სულ არ იყვნენ ასეთები, მაგრამ, ამ კალაპოტსა და ამ კამპანიაში რომ მოხვდები, მერე ასე ხდება. „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, ქართული ანდაზაა. ასეა აქაც, გარემო ახდენს გავლენას. ეს არის ბანდა, იმიტომ, რომ ქვეყნის ძარცვის გარდა არაფრით არ იყვნენ დაკავებული.

**„როდესაც ადამიანი ივანიშვილის დაქვემდებარებაში ხვდება, მერე ამ ყაიდაზე ეწყობა. ამ თოჯინებს ივანიშვილი ქოქავს“**

***— დღეს აქვთ დაგეგმილი აქცია. თქვენთვის რას ნიშნავს მათი შეკრება?***

— რაღაცას განწირულად ფართხალებენ. ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკურ ძალას, თუნდაც ხელისუფლებაში მყოფს, არ აქვს მხარდამჭერების შეკრების უფლება. ეს ნამდვილად არ მიმაჩნია რაიმე პრობლემად და ტრაგედიად. უბრალოდ, როგორ ატმოსფეროს ქმნის და როგორ ატმოსფეროშიც ცდილობს ამის გაკეთებას, ეს არის პრობლემა, თორემ, მშვიდობიანი აქცია ჩაატარონ, არანაირი პრობლემა არ მაქვს.

ესენი ამას აკეთებენ შეშინებულები, როდესაც დაინახეს ჩვენი აქცია, სადაც ადამიანების უზარმაზარი რაოდენობა იყო. თავადაც თქვა კობახიძემ, ჩვენი ძალა უნდა ვაჩვენოთო. მათ ძალა უნდა გვაჩვენონ თავიანთი საქმეებით და არა იმით, ხალხს რომ მოიყვანენ საჯარო სამსახურებიდან, ვინც ფულით ჰყავთ გამობმული.

ხომ დაინახეთ, რა ხალხი მიიყვანეს ქუთაისის სახელით ციხესთან?! ამას რამე საღი აზრი აქვს?! თუ რამე შეიძლებოდა, რომ საკუთარი თავისთვის ევნოთ, ასეთი რაღაცა უნდა გაეკეთებინათ, რომ სააკაშვილის ციხესთან ჯერ მიგეყვანა „ეფესბეს“ აგენტი ტრისტან წითელაშვილი, მხედრიონელი ნანა კაკაბაძე და კიტოვანი — საქართველოს გადამტრიალებელი და თბილისის ამომბუგველი. მერე უკვე გუშინწინ საცოდავი ადამიანები მიიყვანეს. ამით ცდილობენ, ქუთაისს გაუგზავნონ სიგნალი, ჩვენ მოგვეცით ხმა და ხატია დეკანოიძეს არ მისცეთო?! საღი აზრიდან აბსოლუტურად გასული არიან და ძალიან სახიფათო ხალხია ეს.

***— არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ისევ გექნებათ აქციები მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად?***

— რა თქმა უნდა. ორი აზრი არ არსებობს. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი, რომ რაც სააკაშვილმა ჯერ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გააკეთა და რასაც ახლა აკეთებს, ამით ის არა მარტო თანამედროვე სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელია, არამედ საქართველოს ეროვნული გმირია, რომელიც ყოველგვარი პათეტიკისა და გადაჭარბების გარეშე გვაჩვენებს, რას ნიშნავს სამშობლოსთვის თავგანწირვა, რას ნიშნავს პირადი მაგალითის მიცემა, რომ კრიტიკულ მომენტში სამშობლოსთვის თავი გადადო. მან ყველა სტერეოტიპი დაარღვია, რომლებიც კი დამკვიდრებულია და, პრინციპში, საფუძვლიანადაც, როცა პოლიტიკოსების უმეტესობა ასე იქცევა, რომ პოლიტიკოსის სიტყვას ფასი არ აქვს და საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. ეს ყველაფერი დაანგრია თავისი გმირული და ვაჟკაცური ნაბიჯით, თან იმ ფონზე, როცა მთელი ეს წლები ლანძღავდნენ, მშიშარასა და მატყუარას ეძახდნენ და, რა ვიცი, კიდევ რას აღარ.

კაცმა იმ გაბადრული სახით, ღიმილით, როდესაც ციხეში მიჰყავდათ, ეს ყველაფერი დაანგრია. ჩემმა მეგობარმა, ძმაკაცმა, ლიდერმა, პრეზიდენტმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსის სიტყვას ფასი აქვს და შეუძლებელია, ამ ადამიანს ნორმალური ხალხი გვერდში არ დაუდგეს. რა თქმა უნდა, მშვიდობიანად და არაძალადობრივი მეთოდებით ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ციხიდან გამოვიდეს. რაც ჩვენს ხელთ არის, ყველა გზას გამოვიყენებთ მშვიდობიანი და არაძალადობრივი ბრძოლით.

# „ხელისუფლება მიტინგებს არ უნდა მართავდეს“

## გოგი წულაია: „ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ნულოვანი ბარიერით უნდა გაიმართოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ახალი ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერს გოგი წულაიას.**

***— 27 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ ორგანიზებით ეწყობა მასშტაბური აქცია თბილისში. რის მანიშნებელია ეს?***

— ეს არის ხელისუფლების უდიდესი სისულელე. როგორც ჩანს, ისტორიამ ვერაფერი ასწავლა ამ ხალხს. ბერნარდ შოუს აქვს ასეთი გამონათქვამი — ისტორიის გაკვეთილები ისაა, რომ ვერ ვსწავლობთ ისტორიის გაკვეთილებს. გვახსოვს ზვიად გამსახურდიას დრო. ეროვნული მოძრაობის მონაწილე ვიყავი და პირადად ვმონაწილეობდი იმაში, რაც ხდებოდა. მაშინ პარლამენტთან იდგნენ გამსახურდიას მომხრეები და ხელისუფლების წევრები. პირველ სკოლასთან განლაგებული იყო ოპოზიცია. შევარდნაძის მმართველობის დასასრულს რუსთაველზე იდგნენ სააკაშვილის მომხრეები, იქვე, ახლოს, შევარდნაძის ნებართვითა და სურვილით — ასლან აბაშიძის მიერ შეკრებილი ადამიანები. რა მოგვიტანა ამ ყველაფერმა?! კარგი არაფერი. ხელისუფლება მიტინგებს არ უნდა მართავდეს. ასე შეიძლება სამოქალაქო ომი მივიღოთ. ცოტა სისხლი დაგვიღვრია?!

***— საპროტესტო აქციები პოლიტიკურმა ოპოზიციამ ან საზოგადოებამ უნდა გამართოს?***

— აბა, რა ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის საქმეა საპროტესტო აქციები! ვის უწყობენ აქციებს?! ხელისუფლების მოვალეობაა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა, ქვეყნის ინტერესების სამსახური. არ ვიცი, რის დამტკიცება უნდა ხელისუფლებას ამ აქციით იმ დროს, როცა ბენზინზე, წამლებზე, პროდუქტებზე ფასები ყოველდღიურად იმატებს, ხალხს თავი ძლივს გააქვს და ამდენი მოუგვარებელი საკითხია. მოსახლეობა მასობრივად გარბის. აშშ-ში ვიზებზე იმხელა რიგი დადგა, წასვლის მსურველებს გასაუბრება ორი წლის შემდეგ უწევთ. მანამდე თუ მიატანეს, მილასლასდებიან გასაუბრებაზე. შე შობელძაღლო, ის თანხები, რაც ხალხის მიტინგის ორგანიზებაზე უნდა დაიხარჯოს, სოციალურ საკითხს მოახმარე! ცოტა გყავს მშიერი? დახმარებას ჯობია, საწარმოები შექმნა და აღადგინო, მაგალითად, ხილის გადამამუშავებელი. მოსავალი უფუჭდება ხალხს და დიდი უმუშევრობაა.



***— მოვლენები ვითარდება სააკაშვილის გარშემო. რა შეცვალა მისმა ჩამოსვლამ?***

— ძალიან ბევრი რამ შეცვალა მიშას ჩამოსვლამ. ორპოლუსიანობა განმტკიცდა. ამან ჩვენ, წვრილი პარტიები დაგვაზარალა. არის ამომრჩეველი, რომელიც მიშას გამოჩენამდე სხვა ოპოზიციურ პარტიას აძლევდა ხმას, მისი ჩამოსვლის შემდეგ დამოკიდებულება შეცვალა და ნაცმოძრაობას მისცა ხმა. მოგვწონს თუ არა, ქართული პოლიტიკა დღეს სააკაშვილზეა ახუნძლული. ხელისუფლება რომ ხარ, ყველაფერი უნდა გათვალო, აწონდაწონო, მოვლენების განვითარების ყველა ვარიანტი დაამუშაო.

***— ხელისუფლებამ ვერ გათვალა?***

— ვერაფერი ვერ გათვალა. ეგონათ, სააკაშვილს შეეშინდება და არ ჩამოვაო. ჩამოვიდა კიდეც, ციხეშიც ჩაჯდა და შიმშილობაც გამოაცხადა. ნაცმოძრაობას 500.000-ზე მეტი ამომრჩეველი ჰყავს. ამ კაცის ჯანმრთელობას რომ რაიმე მოუვიდეს, სად მიდიან?! ევროპარლამენტარებს რომ „ებლატავებიან“, რის მიღწევა უნდათ?! ერთ შეღავათიან კრედიტზე უკვე უარი თქვეს. იმ ევროკავშირმა რომ უვიზო რეჟიმი გაგვიუქმოს, მერე სად მიდიან?! ემოციებზე აქვთ ყველაფერი აწყობილი. ეს დედააფეთქებულები რა განცხადებებს აკეთებენ! ამას რომ ისმენენ ადამიანები, ხდებიან „ოცნების“ მოწინააღმდეგეები. ერთი ანტიმიშისტი მეზობელი მყავს. იმანაც კი გამოაცხადა, მიშა მეცოდებაო. ჩვენი ხალხი გულჩვილია და ხშირად ჩაგრულის (პატიმრის) მხარეს დგება. კობახიძე აცხადებს, ნაციონალური მოძრაობა უნდა დავამთავროთო. შეადაროს ციფრები, რომლებიც 2012 , 2013 წლებში და ახლა ჰქონდათ არჩევნებზე. უეჭველია, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაბლა მიდის. გაყალბებაც ვერ შველის, ნაცმოძრაობისა კი — ზევით. ასე თუ გააგრძელეს, ნაცმოძრაობა აიღებს 100%-ს, „ოცნება“ — ნულს. მერე ნახავენ, ვინ ვის ამთავრებს.



***— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურში, 30 ოქტომბერს, ზოგ მუნიციპალიტეტში ოპოზიციამ გაიმარჯვა?***

— ეს მოსალოდნელია. თუ ასეც მოხდა, დღის წესრიგში დგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს სხვა პირობებში, ნულოვანი ბარიერით. სხვანაირად კრიზისი ვერ დაიძლევა. კრიზისს ვერ უშველა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებმა და ახლანდელმა ადგილობრივმა არჩევნებმა. უნდა ავირჩიოთ ნამდვილად მრავალპარტიული პარლამენტი და ჩამოვაყალიბოთ კოალიციური მთავრობა. ეს არის გამოსავალი.

***— თქვენ ფართო კოალიციაზე საუბრობთ? მცირე კოალიციის პროექტი ნიკა მელიამაც წარადგინა.***

— ეს იყო პირველი ნაბიჯი, კოალიციის აშენების პირველი მცდელობა. მე ამას მივესალმები. მომავალში ამაზე არ უნდა გავჩერდეთ. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ პარლამენტში, მთავრობის კოალიციაში წარმოდგენილი იყვნენ ყველა სოციალური ფენის ინტერესების გამტარებლები. თუ არ გვექნა მრავალპარტიული პარლამენტი, ფართო კოალიცია, ქვეყანა ვერ განვითარდება და კრიზისიდან ვერ გამოვალთ.

# „სააკაშვილი ციხის საავადმყოფოში დაცული არ იქნება“

## ლია მუხაშავრია: „უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურება მიიღოს იქ, სადაც სურს“

ნათია ხურცილავა



**ადამიანის უფლებათა დამცველი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის, როგორც პატიმრის, უფლებებზე საუბრობს.**

***– ქალბატონო ლია, ანა დოლიძე ნაციონალურ მოძრაობას მიმართავს, რომ მათ შეუძლიათ, სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართონ 39-ე მუხლის, დროებითი ღონისძიების ამოქმედების მოთხოვნით. რამდენად გადაუდებლად განიხილავს ევროპული სასამართლო, გადაიყვანონ თუ არა მიხეილ სააკაშვილი სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში?***

– სასამართლო წესების 39-ე წესი სწორედ გადაუდებელ შემთხვევებს ეხება. როდესაც პატიმრის ჯანმრთელობა და სიცოცხლე რეალური საფრთხის ქვეშ არის, მაშინ ევროპული სასამართლოს ან პალატის პრეზიდენტი გადაწყვეტილებას 24 საათის განმავლობაში იღებს. ვერ გეტყვით, სააკაშვილის ადვოკატებმა მიმართეს თუ არა დროებითი ღონისძიების ამოქმედების მოთხოვნით, მაგრამ მათ საფუძველი ნამდვილად აქვთ, იცოდნენ, ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ რომელ საავადმყოფოში მოხდება გადაყვანა. ყოველი ასეთი კონკრეტული შემთხვევისას კონკრეტული დასაბუთებაა საჭირო. თუ იყო მიმართვა და უარი მიიღეს, მათ განმეორებით შეუძლიათ მიმართვა ახალი გარემოებითა თუ ახალი დასაბუთებით.

***– ციხის საავადმყოფოზე რა შეგიძლიათ გვითხრათ? თქვენი გამოცდილებით, რამდენად უზრუნველყოფს ის პაციენტის სათანადოდ მომსახურებას?***

– სიმართლე გითხრათ, რაც ახლა ვრცელდება ინფორმაცია ციხის საავადმყოფოსთან დაკავშირებით, მთლად ვერ ასახავს რეალობას. მე და ჩემმა კოლეგებმა თავად მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ძალიან ბევრი საქმე გავასაჩივრეთ ევროსასამართლოში ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს საავადმყოფო ლიცენზიის მქონეც კი არ იყო მაშინ. მომსახურე პერსონალი ვალდებული არ იყო, ლიცენზირებული ექიმი ყოფილიყო. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ეს საავადმყოფო გახდა ისეთი, როგორიც საქართველოში სხვა სამოქალაქო საავადმყოფოებია. შემიძლია გითხრათ, რომ არათუ ადეკვატური, საუკეთესო აპარატურით არის აღჭურვილი. ყველა ექიმიც სერტიფიცირებული და მაღალი კვალიფიკაციისა. თუმცა, ვფიქრობ, საქმე არის არა ის, თუ რამდენად მრავალპროფილურია და რამდენად ადეკვატური მომსახურება შეიძლება გაეწიოს ე.წ. რეზბალნიცაზე სააკაშვილს, საქმე აქ სხვაა. სააკაშვილის უსაფრთხოების საკითხი შეიძლება იყოს გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი.

***– ციხის საავადმყოფოში ადეკვატურად ვერ იქნება სააკაშვილის უსაფრთხოება დაცული?***

– დიახ, სწორედ ესაა საქმე. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმრები იზოლირებულნი არ არიან. საერთო პალატებია, რომლებიც არ იკეტება. საავადმყოფოს მთელ პერიმეტრზე პატიმრები შეუზღუდავად, თავისუფლად გადაადგილდებიან. პატიმრები ერთმანეთისგან იზოლირებულები არ არიან. ეს არის არსებითი საკითხი. ამიტომ მართლაც უსაფრთხოების საკითხია აქ მთავარი და არა ის, თუ რამდენად ადეკვატური სამედიცინო მომსახურებაა შესაძლებელი. როგორც ჩანს, ადვოკატები კლიენტის მოთხოვნით არ საუბრობენ ამ დეტალებზე. სიმართლე გითხრათ, როდესაც ე.წ. რეზბალნიცაზე იყო საუბარი, იმწუთში ვთქვი, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

***– შეიძლება, მისი პრეზიდენტობის დროინდელი პატიმარიც კი იყოს იმ საავადმყოფოში.***

– რა თქმა უნდა! სულაც არ არის ეს გამორიცხული. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, მე ნამყოფი ვარ ამ საავადმყოფოში და უვადო პატიმრებიც მყავს ნანახი. ამიტომ უსაფრთხოების საკითხი გადამწყვეტია, მით უფრო, სააკაშვილი 27-დღიანი შიმშილობის შემდეგ ფიზიკურად დაუძლურებულია და, თუ თავს დაესხმებიან, თავს ვერ დაიცავს. ეს ის გარემოებაა, რომელიც ნამდვილად არის ანგარიშგასაწევი, თანაც, საერთოდ, განსაზღვრულია, რომ მაღალი რანგის პოლიტიკურ ფიგურები, მაღალი თანამდებობის ყოფილი პირები, განსაკუთრებით ძალოვანი უწყების, პროკურატურის, სამხედრო მოსამსახურე პატიმრები ცალკე საპყრობილეში იმყოფებიან.

***– როგორ ფიქრობთ, რუსთავის ციხის დაწესებულებაში, სადაც დღეს სააკაშვილი იმყოფება, მისი უსაფრთხოება რამდენად დაცულია?***

– აი, აქაც კითხვა ჩნდება, რადგან ის ჩვეულებრივ სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია მოთავსებული და არა – ე.წ. გადაკეტილ ზონაში, სადაც ყოფილი სამხედროები, ყოფილი პოლიციელები თუ სხვა ძალოვნები იხდიან სასჯელს. ამიტომ მე ვერ გეტყვით, რით აიხსნება, რომ ის მოთავსდა რუსთავის იმ დაწესებულებაში, სადაც არის, თუმცა, როგორც ვიცი, იზოლირებულია, იმ სართულზე მხოლოდ სააკაშვილი იმყოფება და ადმინისტრაციას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები აქვს მიღებული.

***– პაციენტის უფლებებზე საუბრობდით. ერთნაირად იცავს კანონმდებლობა პატიმარი პაციენტისა და ჩვეულებრივი პაციენტის უფლებას?***

– დიახ, ასეა.

***– კანონმდებლობით სააკაშვილს აქვს უფლება, სამოქალაქო საავადმყოფოში გაიაროს მკურნალობის კურსი?***

– დიახ, მას შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერ სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა, ნებისმიერ ექიმთან კონსულტაცია და მკურნალობა, მაგრამ ამის ანაზღაურება მოუწევს. ციხის საავადმყოფო პატიმარს უფასოდ მკურნალობს. კანონი „ჯანმრთელობის დაცვისა და პაციენტთა უფლებების შესახებ“ არანაირ განსხვავებას არ ცნობს. პატიმარ პაციენტსაც აქვს უფლება, მიიღოს მეორე აზრი ანუ სხვა სამკურნალო დაწესებულებაში, სხვა ექიმის აზრი საკუთარი ჯანმრთელობისა და მკურნალობის მეთოდის შესახებ, ასევე, უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურება მიიღოს იქ, სადაც მას სურს. ეს ყველა უფლება უნარჩუნდება პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირს. ამ სტანდარტების დანერგვაში თავის დროზე ძალიან დიდი შრომა გვაქვს ჩადებული.



# პაატა ბურჭულაძე ქუთაისის საოპერო თეატრში არ შეუშვეს

საოპერო მომღერლის პაატა ბურჭულაძის ინფორმაციით, გუშინ, 26 ოქტომბერს, ქუთაისის თეატრში მუსიკოსებსა და მენეჯმენტთან დაგეგმილი შეხვედრა მოულოდნელად ჩაიშალა.

როგორც ბურჭულაძე სოციალურ ქსელში წერს, მას სურდა, თეატრის მენეჯმენტს ხატია დეკანოიძისთვის საკუთარი პრობლემები გაეცნო, თუმცა დაგეგმილი რეპეტიცია გაუქმდა და მოულოდნელად კარანტინი გამოცხადდა.

„ქუთაისის საოპერო თეატრიდან ჩემი ძვირფასი მეგობრები მირეკავენ მომხდართან დაკავშირებით. დღეს მინდოდა, თეატრის მუსიკოსებსა და მენეჯმენტს ხატია დეკანოიძისთვის გაეცნოთ საკუთარი პრობლემები, ამიტომ მივედით თეატრთან, ვიცოდით, რომ რეპეტიცია იყო დანიშნული. იქ კი ისე უცნაურად დაემთხვა, რომ, როგორც კი გახდა ცნობილი ჩვენი მისვლის შესახებ, მოულოდნელად გამოცხადდა კარანტინი, საჭირო გახდა დეზინფექცია და თეატრი დაკეტეს.

რატომღაც არც საოპერო თეატრის ხელმძღვანელმა ინება ჩემთან შეხვედრა. არ იღელვოთ, ჩემო მეგობრებო, ესეც გადაივლის და მე აუცილებლად მოვალ თქვენთან და რითაც შემეძლება გვერდით დაგიდგებით“, – დაწერა პაატა ბურჭულაძემ ფეისბუქის გვერდზე.

გუშინვე კომენტარი გააკეთა ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირინე ლომინაძემ.

– ჩემთან არავინ მოსულა თეატრში შემოშვებისთვის. დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ პაატა ბურჭულაძეს სურდა ჩემი გაცნობა. მას არ უთქვამს, რომ სურდა შემოსვლა. რა უფლებით არ შემოვუშვებდი, სირცხვილია, პაატა ბურჭულაძე არ შემოუშვა თეატრში. მე ვუთხარი, როგორც მსოფლიო ბანს, ჰქონდა ჩემი უდიდესი პატივისცემა და ბედნიერი ვიქნები, თუ ოდესმე იმღერებს ჩემს თეატრში, მაგრამ, როგორც პოლიტიკოს პაატა ბურჭულაძეს, მე არ შევხვდები-მეთქი.

ეს არის ჩემი უფლება. მე არ ვცემ იმ პარტიას პატივს, რომლის გვერდითაც დგას პაატა ბურჭულაძე. ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკოს პაატა ბურჭულაძეს. როგორ გგონიათ, მას ეთქვა, რომ შეხვედრა სურდა დასთან და მე ამის დაშლის უფლება მქონდა? – განაცხადა ირინე ლომინაძემ.

# საწვავის იმპორტმა პანდემიამდელ მაჩვენებელს გადააჭარბა

– საწვავის იმპორტი ისევ იზრდება – ამის შესახებ ინფორმაციას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი ავრცელებს. მათი ინფორმაციით, 2021 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 854,5 ათასი ტონა, რაც 47 ათასი ტონით ანუ 5,8%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (807,5 ათასი ტონა) შედარებით და 75,1 ათასი ტონით ანუ 9,6%-ით პანდემიამდე არსებული 2019 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (779,4 ათასი ტონა) შედარებით.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მონაცემებით, 2021 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 445,4 ათასი ტონა (მატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 57,4 ათასი ტონით ანუ 14,8%-ით), ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 409,1 ათასი ტონა კლება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10,3 ათასი ტონით ანუ 2,5%-ით).

„კატეგორიების მიხედვით, 2021 წლის იანვარ-სექტემბრის თვეების განმავლობაში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა შემდეგი: A-91 რეგულარი ტიპის ბენზინი – 287,2 ათასი ტონა (64,5%); A-95 პრემიუმი ტიპის ბენზინი – 149,5 ათასი ტონა (33,5%);A-98 სუპერი ტიპის ბენზინი – 8,7 ათასი ტონა (2,0%);

მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის თვეების განმავლობაში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა თურქმენეთიდან – 194,9 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 22,8%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: აზერბაიჯანი – 168,5 ათასი ტონა – 19,7%; რუსეთი – 164,2 ათასი ტონა – 19,2%; ბულგარეთი – 137,7 ათასი ტონა – 16,1%; რუმინეთი – 131 ათასი ტონა – 15,3%; საბერძნეთი – 25,5 ათასი ტონა – 3% და სხვ.

მათ შორის, 2021 წლის 9 თვის განმავლობაში ბენზინის საწვავის ყველაზე დიდი მომწოდებელი გახლდათ თურქმენეთი, რომელმაც განახორციელა 134,8 ათასი ტონა ბენზინის (მხოლოდA-91 რეგულარი ტიპის ბენზინი) იმპორტი, რაც მთელი ბენზინის იმპორტის 30,3%-ს შეადგენს. ხოლო დიზელის საწვავის ყველაზე დიდი მომწოდებელი გახლდათ აზერბაიჯანი, განახორციელა 168,5 ათასი ტონა დიზელის საწვავის იმპორტი, რაც მთელი დიზელის საწვავის იმპორტის 41,2%-ს შეადგენს.

ნავთობპროდუქტების იმპორტისა და მოხმარების მხრივ პოზიტიური დინამიკა გრძელდება, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ეკონომიკის სწრაფი აღდგენის პროცესთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბენზინის საწვავის ყველაზე მსხვილი მომწოდებელი გახდა თურქმენეთი, რაც ისტორიაში არასდროს დაფიქსირებულა. აღნიშნულს განაპირობებს მასზე არსებული შედარებით დაბალი ფასი“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# მარგველაშვილი: „ზურაბიშვილი პატიმარ სააკაშვილის ბედით უნდა დაინტერესდეს“



პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში, შესაძლოა, შუამავალი გიორგი მარგველაშვილი გახდეს. მეოთხე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილს საგანგებო შეხვედრას სთავაზობს. მარგველაშვილი ფიქრობს, რომ ზურაბიშვილი სააკაშვილის მძიმე მდგომარეობით უნდა დაინტერესდეს.

გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, იმაზე, რაც ახლა ხდება, დიდი პასუხისმგებლობა მოქმედ პრეზიდენტზეცაა.

– პრეზიდენტის საკითხი ავტომატურად პრეზიდენტის კომპეტენციის ქვეშაა, ისევე როგორც მისი კომპეტენციის ქვეშ არის ქვეყნის მთლიანობის საკითხი და ეს მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არ მოიცავს.

მიმაჩნია, რომ დიდი პასუხისმგებლობა ახლა მოქმედ პრეზიდენტზეა, რომ ის დაინტერესდეს ამ საკითხით. მე არ ვამბობ, რომ უნდა შეიწყალოს, ეს მისი გადასაწყვეტი და საზიდი ტვირთია. მოქმედი პრეზიდენტი პატიმრობაში მყოფი პრეზიდენტის ბედით უნდა დაინტერესდეს.

თუ დასჭირდება და საჭიროდ ჩათვლის, მეც შემიძლია, ამ პროცესში ჩავერთო იმ კომპეტენციაში, რაზეც სამმა პრეზიდენტმა შეიძლება ისაუბროს, არა პოლიტიკურ მოგება-წაგებაზე, არამედ ქვეყნის ბედზე, იმაზე, რომ ტრავმა არ მივაყენოთ ჩვენს სახელმწიფოს, – განაცხადა მარგველაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში.

# „ოცნების“ 27 ოქტომბრის აქციაზე წასასვლელად ხალხს 50–50 ლარს ურიგებენ

50 ლარი კაცზე – „ტვ პირველის“ მიერ მოპოვებული ექსკლუზიური აუდიოჩანაწერებით ირკვევა, რომ გურიასა და აჭარაში ფულს აქციაზე წასასვლელად მოქალაქეებს პირადად რწმუნებულები და მერები ურიგებენ.

50 ლარში მოქალაქეების ტრანსპორტირება და კვება არ შედის და მას „ქართული



ოცნება“ დამატებით უზრუნველყოფს.

სოფლის რწმუნებულები „ტვ პირველთან“ ადასტურებენ, მოქალაქეებისთვის აქციაზე წასვლის სანაცვლოდ ფულის დარიგება უწევთ.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილის რწმუნებული ასლან აბაშიძე ამბობს, რომ ერთ ადამიანზე 50 ლარია გამოყოფილი.

მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სოფლის რწმუნებულებს აქციისთვის განკუთვნილი თანხები უკვე გადაეცათ.

– ხო, თითო კაცი 50 ლარი. მე მერიის წარმომადგენელი ვარ სოფელში. ჩემი უფროსი მეუბნება, ასეა თანხაო, მითხრა ბიჭიკო ჟანდაძემ, რომელიც მერის წარმომადგენელია, – ამბობს „ტვ პირველის“ ჟურნალისტთან საჯარო მოხელე.

# „მომხმარებლების ნაწილს ბანკების სახელით კიბერთაღლითები უკავშირდებიან“

– ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მომხმარებლების ნაწილს კომერციული ბანკების სახელით სატელეფონო ზარის საშუალებით უკავშირდებიან კიბერთაღლითები, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საბანკო ასოციაცია ავრცელებს.

მათი ცნობით, ზარები როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ნომრებიდან ფიქსირდება და კიბერთაღლითები ძირითადად რუსულ ენაზე საუბრობენ.

„ისინი მოქალაქეებს სხვადასხვა საბანკო ტრანზაქციის განხორციელებას, ბარათის მონაცემების გაზიარებას ან უკვე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ სთხოვენ ინფორმაციის მიწოდებას.

გვსურს გაგაფრთხილოთ, რომ განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდოთ საბანკო თუ პერსონალურ ინფორმაციას და არ გაუზიაროთ ის მესამე პირს. შესაძლოა, ორგანიზებულ კიბერთაღლითობას ჰქონდეს ადგილი, რის შესახებაც საბანკო ასოციაციამ და კომერციულმა ბანკებმა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს უკვე მიმართეს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სასაზღვრო პოლიციამ ჩინური გემი 50.000 ლარით დააჯარიმა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, ჩინეთის დროშის ქვეშ მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც ჩინეთის მოქალაქეა, სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საქმის წარმოება ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე პირველი პრიმა მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით.

გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა 50.000 ლარი. ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

# სასამართლომ თაღლითობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის ივნისში ბრალდებული დაზარალებულს დაჰპირდა, რომ შეეძლო სისხლის სამართლის საქმეებზე სხვადასხვა კომპანიების და პირებისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული და პროკურატურის ბალანსზე არსებული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინების) და ავტომანქანის მისთვის გადაცემა, რის სანაცვლოდაც მოტყუებით დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ 5.500 აშშ დოლარს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ბრალდებული 2021 წლის 8 თებერვალს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ზურაბ თოდუა: „სამხარაულის ექსპერტიზით ბაბუის მიერ შვილიშვილის გაუპატიურება არ დასტურდება“




შვილიშვილის გაუპატიურებაში ბრალდებული ბაბუის ადვოკატის, ზურაბ თოდუას განცხადებით, პროკურატურამ არასრულწლოვნისთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი განაცხადა.

აღნიშნულის შესახებ ზურაბ თოდუამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, დღემდე საქმეში არ დევს სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ბაბუის მიერ შვილიშვილის გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია.

— შიდა ქართლის რაიონულმა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა ჩემი შუამდგომლობა არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ჩემი კითხვა ასეთი იყო, თუ რამდენად სწორად აღიქვამს და გადმოსცემს დაზარალებული არასრულწლოვანი აღქმულ მოვლენებს. ასევე, დღემდე ბრალდება საქმეში არ დებს სამხარაულის საექსპერტო დასკვნას, რომლითაც დადასტურებულია, რომ არავითარ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია. სამხარაულის ბიუროდან გამოვითხოვე ინფორმაცია, თუ როდის წაიღო დასკვნა ბრალდებამ ამ უწყებიდან, — აცხადებს თოდუა.

ცნობისთვის, 13 წლის შვილიშვილის გაუპატიურებაში ბრალდებული 53 წლის მამაკაცი სამართალდამცავებმა 12 ოქტომბერს დააკავეს. პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 141-ე მუხლით (ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედება); 11 პრიმა, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით თოთხმეტის წლის ასაკს მიუღწეველთან); 11 პრიმა, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“, მეოთხე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ოჯახის წევრის გაუპატიურება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ძალის გამოყენებით) და 11 პრიმა, 139-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ოჯახის წევრის და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულს გორის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

# მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის მისაღები საგამოცდო მანქანები განახლდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში საგამოცდო მანქანების ავტოპარკი განახლდა. მართვის უფლების მიღების მსურველები „B“ კატეგორიის პრაქტიკულ გამოცდას თანამედროვე, GPS სისტემით აღჭურვილი, „SKODA RAPID“-ის მოდელის სატრანსპორტო საშუალებებით აბარებენ.

მომსახურების სააგენტომ, ინფრასტრუქტურისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სადაც პრაქტიკული გამოცდების ჩაბარებაა შესაძლებელი, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური სამუშაოები ეტაპობრივად განახორციელა. 2021 წლის დასაწყისში, საწყის ეტაპზე, მხოლოდ რუსთავისა და გორის სტრუქტურულ ერთეულებში ჩანაცვლდა ძველი საგამოცდო მანქანები ახლით, ცოტა ხნის წინ კი ავტოპარკი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში განახლდა.

# „რუსთავის ციხესთან სააკაშვილის საგინებლად თითო კაცს 50 ლარი გადაუხადეს“

## რას ყვება აქციის მონაწილე




თეიმურაზ მამაგეიშვილი, იგივე „ვარსკვლავა“, რომელიც 25 ოქტომბერს მმართველი პარტიის დავალებით რუსთავის მე-12 დაწესებულებასთან ქუთაისელ უბნელებთან, ე.წ. ზასტაველებთან ერთად მივიდა, „მთავარ არხთან“ გარიგების დეტალებს ყვება.

მას შემდეგ, რაც „მთავარი არხის“ ჟურნალისტი მას „ქართული ოცნების“ შტაბის წევრად გაეცნო, „ვარსკვლავამ“ დაადასტურა, რომ რუსთავის ციხესთან მისვლისა და მიხეილ სააკაშვილის გინების დავალება პარტიული შტაბიდან მიიღო და 27 ოქტომბრის აქციაზეც იგივე მოხდება.

— „ქართული ოცნების“ აქციაზე ვიქნები ყოველთვის და სულ, იმიტომ, რომ მაგენი უნდა იყვნენ, აბა ესენი რაფერ უნდა მოვიდნენ, შემიძლია მთელი ზასტავა მოვიყვანო, მთელი ქუთაისი, 20, 50, 100, 200, ერთი 50 კაცი უეჭველი წამოვა ჩემთან ერთად, — ამბობს მამაგეიშვილი.

კითხვას, ხომ არ მოითხოვენ თანხას მისი თანმხლები ადამიანები, მან ასე უპასუხა:

— ზოგს საჭმლის ფული არ აქვს, ზოგს სიგარეტის, რავი, თუკი ვინმე რამეს დაეხმარება, კი მივცემ ამ ბიჭებს, რაღაცას სახლში მიიტანენ, რაფერ გითხრათ.

მოგვიანებით, მამაგეიშვილმა ჟურნალისტს გადმოურეკა და დააზუსტა, რომ კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ აქციის მონაწილეებს 50 ლარს გადაუხდის, ასევე, დაინტერესდა, ავტობუსებით მოემსახურებათ თუ არა პარტია.

— რა მაინტერესებს, იცით? დიდი აქციისთვის ერთი 50 კაცი მაინც იქნება წამომსვლელი და რამდენს გამოყოფთ, რომ ვიცოდე, მეც რომ არ შევრცხვე. 50 ლარი მგონი საკმარისი იქნება თითო კაცზე. რუსთავის აქციაზეც მასე იყო, — თქვა თეიმურაზ მამაგეიშვილმა.

დღეს, 27 ოქტომბერს, „ქართული ოცნება“ თავისუფლების მოედანზე აქციას მართავს. ოპოზიციაში ამბობენ, რომ ხელისუფლება რეგიონებიდან აქციაზე დასასწრებად საჯარო სამსახურში დასაქმებულებს, ე.წ. ძველ ბიჭებსა და სხვა პირებს აორგანიზებს.

# რესპუბლიკური საავადმყოფოს კამერებში 20 წლის ვახტანგ ჩარკვიანის კლინიკაში ყოფნის პერიოდი ასახული არ არის

## „შემოყვანისას დერეფანში ჰყავდათ ერთი კვირა, შემდეგ აიყვანეს პალატაში“



კორონავირუსით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის ოჯახის ადვოკატის, ელგუჯა ჩხაიძის განცხადებით, რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებულ კამერებში ჩარკვიანის კლინიკაში ყოფნის პერიოდი ასახული არ არის.

ადვოკატი ეჭვს გამოთქვამს, ხომ არ მოხდა პაციენტის კლინიკაში ყოფნის პერიოდის ამსახველი კადრების წაშლა, რის გამოც მათ ექსპერტიზა მოითხოვეს.

ამასთან, როგორც ჩხაიძე განმარტავს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში საგამოძიებო მოქმედებები არ დასრულებულა და მომდევნო ჯერზე ისინი იმ ადგილს დაათვალიერებენ, სადაც 20 წლის ფეხბურთელი მკურნალობას გადიოდა.

ჩხაიძის თქმითვე, ვახტანგ ჩარკვიანი კლინიკაში შეყვანიდან ერთი კვირის განმავლობაში დერეფანში ჰყავდათ, რა დროსაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა.

— გამომძიებელი და პროგრამისტი იყვნენ, დავათვალიერეთ ვიდეოკამერები, ვიდეოჩანაწერები არ აქვთ, რა პერიოდიც ჩვენ გვაინტერესებს, ჩანაწერები არ აქვთ გაკეთებული. ოქმში შენიშვნა შევიტანეთ მოთხოვნით, რომ ექსპერტიზა ჩატარდეს, ხომ არ იყო ჩაწერილი და შემდეგ ხომ არ წაშალეს.

შემოყვანის დღიდან გაწერის დღემდე პერიოდი გვაინტერესებს, ეს პერიოდი ჩანაწერში არ არის. ჩვენ მხოლოდ იმ ოთახში შეგვიყვანეს, სადაც სერვერები დგას და ჩაწერა ხორციელდება, ადმინისტრაცია ამბობს, რომ კამერებთან დაკავშირებით ხელშეკრულება ახალი გაფორმებული აქვთ და ახლა მონტაჟდება, ამბობენ, მაშინ ჩაწერა არ ხორციელდებოდაო. როგორც მოგახსენეთ, ექსპერტიზას ვითხოვთ, ხომ არ მოხდა ჩანაწერების წაშლა.

გვინდოდა დათვალიერება, მაგრამ არ შეგვიშვეს — ვახტანგ ჩარკვიანი შემოყვანისას სადღაც დერეფანში ჰყავდათ ერთი კვირა, შემდეგ აიყვანეს პალატაში. ზუსტად იმ პერიოდში გართულდა დაავადება, ანუ მაშინ, როცა ის დაბლა იყო.

ეჭვი გვაქვს, სწორედ იმ პირველ დღეებში გაუარესდა ახალგაზრდა კაცის მდგომარეობა. მაშინ მისი ოჯახის ყველა წევრი კოვიდსასტუმროში იყო, ისინი ვერ აქცევდნენ ყურადღებას და არ ვიცი, ამათ რა იფიქრეს.

შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები ისევ კლინიკაში იქნება, გამომძიებელი შემოვა და დავათვალიერებთ იმ ადგილს, სადაც ჩარკვიანი პირველად შეიყვანეს, ანუ სად გაატარა პირველი დღეები. ის პალატაში, სადაც წესით ავადმყოფი უნდა იყოს, არ იყო, ასევე დავათვალიერებთ აპარატურას, რომელზეც შეერთებული იყო, აპარატურაზე გვითხრეს, რომ მახსოვრობა არ აქვს, ვნახავთ, — განაცხადა ჩხაიძემ.

# ყალბი კოვიდპასპორტი 70 ევროდ

## 12 პირი პასუხისგებაში მისცეს

70 ევროს სანაცვლოდ ყალბი ე.წ. კოვიდპასპორტის დამზადების ფაქტზე რამდენიმე პირი პასუხისგებაში მისცეს.

აღნიშნულ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„საგამოძიებო სამსახური აგრძელებს აქტიურ ღონისძიებებს ყალბი კოვიდპასპორტებისა და კორონავირუსის ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტების დამამზადებელ და გამომყენებელ პირთა გამოვლენა-მხილების მიზნით.

საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთის რეგიონში გამოვლენილია აღნიშნულის სახის დანაშაულის ორი ფაქტი, რაზეც პასუხისგებაში მიეცა 9 პირი, მათ შორის ერთი დაკავებულია.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა, ქ. თბილისში მდებარე ტურისტულ კომპანიაში, კოვიდვაქცინაციის გარეშე საზღვარგარეთ გამსვლელი მგზავრებისათვის გათვალისწინებული სავალდებულო კარანტინისაგან თავის არიდების მიზნით, მოქალაქეს დაუმზადა ორი ერთეული ყალბი ე.წ. კოვიდპასპორტი, თითოეული 70 ევროს სანაცვლოდ, რომელშიც შეიტანა ყალბი მონაცემები დოკუმენტის მიმღები პირის მიერ ჩატარებული კოვიდვაქცინაციის სრული კურსისა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების უარყოფითი შედეგების თაობაზე, რის შემდეგაც დოკუმენტები დაამოწმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლის ყალბი, კუსტარულად დამზადებული სველი ბეჭდით.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა როგორც ხსენებული ყალბი დოკუმენტები და ბეჭდები, ასევე, სხვა მოქალაქეებზე გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი კოვიდპასპორტები და მათ დასამზადებლად გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკა.

მეორე შემთხვევაში კი იმერეთის რეგიონში მხილებულ იქნა რვა პირი, რომლებმაც, სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის რეგულაციებისათვის თავის არიდების მიზნით, შეიძინეს და გამოიყენეს თითქოსდა სამედიცინო დაწესებულებების სახელით გაცემული კორონავირუსის პისიარ ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტები“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

საქართველოს პროკურატურამ თბილისში და იმერეთის რეგიონში, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების და გამოყენების ფაქტებზე, 12 პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიება უკვე შეეფარდათ.

# ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გოჩა ხარატიშვილმა თვითმკვლელობა ცადა



ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გოჩა ხარატიშვილმა სოციალური მდგომარეობის გამო ორჯერ თვითმკვლელობა ცადა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„ვცხოვრობ 4 კვ მ ფართში, უმძიმეს პირობებში, სადაც არ არის სველი წერტილები: წყალი, შხაპი და არც ტუალეტი!

ჩემი მისამართია დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა №38, ბენეფიციართა სახლის პირველი სართული.

ვარ სოციალურად დაუცველი და მხოლოდ 60 ლარის იმედად ვიმყოფები ეს მარტოხელა ავადმყოფი, გაუბედურებული ადამიანი.

უკვე დეპრესიაში ჩავვარდი ამ უმძიმესი ყოფისგან და ორჯერ მქონდა სუიციდის მცდელობა ნათურის პატრონაში ხელის შეყოფით, მაგრამ ორჯერვე სინათლე ჩაქრა მოულოდნელად... ვერ ამიხსნია, როგორ გადავრჩი, მაგრამ ასეთ სიცოცხლეს თავის მოკვლა ვამჯობინე... მესამედ, ალბათ, აღარ მაპატიებს უფალი....

ეს კორპუსი, სადაც მე ვცხოვრობ, ნახევრად ავარიულია. სარდაფში დაბლა დიდი რაოდენობით წყალია დაგროვილი. დიდი ხნის წინ აშენებულია ეს კორპუსი.

ბოლო დროს ამირჩიეს საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარედ, რადგან მე ვიყავი ამ კავშირის შექმნის ინიციატორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, მაგრამ რად გინდა — ჩემი რამდენიმეწლიანი მცდელობა იმ მიზნით, რომ საცირკო ხელოვნება, როგორც სფერო, შეეყვანათ სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში, ამაო გამოდგა. შემდეგ პანდემიამ დაისადგურა დედამიწაზე და ცირკისთვის ვინლა მოიცლიდა.

მინდა, ვთხოვო ბიზნესმენებს, ყველა ქველმოქმედსა და სიკეთის მთესველს: დამეხმარეთ, რისი საშუალებაც გაქვთ, საკვებით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, პირველადი მოხმარების ნივთებით... არაფერი გამაჩნია!

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კი უმორჩილესად ვთხოვ, დაინტერესდეს კოჯრის ბენეფიციართა სახლის პრობლემებით“.

# ბორის ჯონსონი: „გაერთიანებული სამეფოსა და რუსეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობს“



გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა.

„გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა გარკვევით აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობა არ არის ისეთი, როგორიც ჩვენ გვსურს. მისი თქმით, გაერთიანებული სამეფოსა და რუსეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ორმხრივი სირთულეები არსებობს, მათ შორის 2018 წელს სოლსბერიში მომხდარ მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა უკრაინის სუვერენიტეტის მნიშვნელობას“, – განაცხადა დაუნინგ სტრიტის პრესსპიკერმა სატელეფონო საუბრის შემდეგ.

კრემლის ინფორმაციით კი ორმა ლიდერმა ორმხრივი ურთიერთობები განიხილა და „გამოთქვა საერთო აზრი, რომ არსებული პრობლემების მიუხედავად, მოსკოვმა და ლონდონმა რიგ სფეროებში თანამშრომლობა უნდა დაამყარონ“.

კრემლის ცნობით, მხარეები „საუბრისას განხილულ საკითხებზე აუცილებელი კონტაქტების შენარჩუნებაზე შეთანხმდნენ“.

# ერდოღანმა და ალიევმა ფუზულის საერთაშორისო აეროპორტი გახსნეს

თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები რეჯეფ თაიფ ერდოღანი და ილჰამ ალიევი ფუზულის საერთაშორისო აეროპორტის გახსნას დაესწრნენ.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, პრეზიდენტებმა სიმბოლური ლენტი გაჭრეს.

მოგვიანებით თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები აეროპორტში არსებულ პირობებს გაეცნნენ.

რეჯეფ თაიფ ერდოღანი აზერბაიჯანში გუშინ ჩავიდა. ფუზულის საერთაშორისო აეროპორტში მას კოლეგა ილჰამ ალიევი დახვდა.

# ჩინეთში 3 წლის ასაკიდან ბავშვების ვაქცინაციას იწყებენ

ჩინეთში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით 3 წლის ასაკიდან ბავშვების ვაქცინაციას დაიწყებენ.

ქალაქებისა და პროვინციების ადგილობრივმა მთავრობებმა ჩინეთის მინიმუმ 5 პროვინციაში უკვე გამოაცხადეს, რომ 3-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებს ვაქცინაციას ჩაუტარებენ.

ვაქცინაციის კამპანიის გაფართოება ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში კოვიდინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო ახალი შეზღუდვების დაწესების ფონზე ხორციელდება.

ჩინეთის ჯანდაცვის ეროვნულმა კომისიამ განაცხადა, რომ ბოლო 24 საათის განმავლობაში ქვეყანაში ინფიცირების 35 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, მათგან ოთხი განსუში, სადაც გუშინ ყველა ტურისტული ადგილი დაიხურა.

ჩინეთში, ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის 76% სრულადაა ვაქცინირებული. ხელისუფლება კოვიდშემთხვევების გავრცელების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ახორციელებს.

# რეჯეფ თაიფ ერდოღანი: „საელჩოებმა ჩვენი ქვეყნის ცილისწამებისგან უკან დაიხიეს“



– საელჩოების მიერ გუშინ გაკეთებული ახალი განცხადებები ჩვენი ქვეყნისა და ერის მიმართ ცილისწამებისგან უკან დახევა იყო. მჯერა, რომ ეს ელჩები მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ თურქეთის სუვერენულ უფლებებთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებისას, – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მინისტრთა კაბინეტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, თურქეთის მიზანი კრიზისის შექმნა არ არის.

„ჩვენი მიზანი არასდროს ყოფილა კრიზისების შექმნა. ჩვენი მიზანია ჩვენი ქვეყნის უფლებების, კანონების, პატივისა და სუვერენიტეტის დაცვა“, – აღნიშნა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც იმ საელჩოებმა, რომელთა ელჩების პერსონა ნონ გრატად გამოცხადებასაც გეგმავდა, გაავრცელეს განცხადებები, სადაც აღნიშნულია, რომ ისინი იცავენ დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 41-ე მუხლს, რომელიც დიპლომატებს მიმღები სახელმწიფოს კანონებისა და რეგულაციების დაცვას, ასევე ამ სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობას ავალდებულებს.

შეგახსენებთ, 23 ოქტომბერს თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს 10 ქვეყნის ელჩების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება დაავალა, რომლებმაც თურქეთის ხელისუფლებას დაპატიმრებული თურქი ბიზნესმენის ოსმან კავალას დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდეს.

# ჯო ბაიდენი საერთაშორისო მოგზაურების ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ახალ წესებს აწესებს

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც აწესებს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებს უცხო ქვეყნებიდან ჩასული ავიამგზავრების უმეტესობისთვის და ხსნის ჩინეთთან, ინდოეთთან და ევროპის დიდ ნაწილთან მოქმედ შეზღუდვებს.

თეთრი სახლის ინფორმაციით, ცვლილებები 8 ნოემბრიდან ამოქმედდება.

ახალი წესების თანახმად, საჰაერო გზით აშშ-ში დაიშვებიან სრულად ვაქცინირებული უცხოელი მოგზაურები ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტითა და კორონავირუსზე ტესტის ნეგატიური პასუხით.

ამასთან, გამონაკლისი შეეხებათ 18 წლამდე ასაკის მოგზაურებსა და გარკვეული სამედიცინო პრობლემების მქონე პირებს. არატურისტული მიზნით 50-მდე ქვეყნიდან ჩასულ მგზავრებს, მათ შორის ნიგერიიდან, ეგვიპტიდან, ალჟირიდან, სომხეთიდან, ლიბიიდან და ა.შ., სადაც ქვეყნის მასშტაბით ვაქცინაციის მაჩვენებლები 10%-ზე ნაკლებია, ასევე უფლება ექნებათ, გათავისუფლდნენ წესებისგან, თუმცა იმ პირებმა, რომლებსაც გამონაკლისი შეეხებათ, შეერთებულ შტატებში ჩასვლიდან 60 დღის განმავლობაში ვაქცინაცია უნდა ჩაიტარონ.

საერთაშორისო ავიამგზავრებმა უნდა წარადგინონ უარყოფითი კოვიდ-19 ტესტის პასუხი და ტესტი ჩატარებული უნდა იყოს გამგზავრებამდე სამი დღის განმავლობაში. არავაქცინირებულმა ამერიკელებმა და უცხო ქვეყნების მოქალაქეებმა, რომლებსაც გამონაკლისი შეეხებათ, კოვიდ-19-ზე ტესტი გამგზავრებიდან ერთი დღის განმავლობაში უნდა ჩაიტარონ.

აშშ-ის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრში აცხადებენ, რომ უცხოელი მოგზაურებისთვის მისაღები იქნება აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების სააგენტოსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ყველა ვაქცინა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საბა კვირკველია: „დარწმუნებული ვარ, ეროვნულ გუნდში დავბრუნდები“





საქართველოს ნაკრების მცველი საბა კვირკველია ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენებური უკლუბოდაც დარჩა. თუმცა კვირკველია რამდენიმე დღის წინ ხარკოვის მეტალისტს შეუერთდა და კარიერას უკრაინის პრემიერლიგაში გააგრძელებს.

როგორ მოხვდა საბა სამტრედიიდან უკრაინაში, ამაზე ფეხბურთელი თავად საუბრობს.

**საბა კვირკველია:**

– როგორც ყველა ბავშვს, სპორტი მეც მიყვარდა. მშობლიურ ქალაქ სამტრედიაში საბავშვო გუნდში დავიწყე ფეხბურთის თამაში. ტანმაღალი კი ვარ, მაგრამ ბავშვობიდანვე ფეხბურთელობა მინდოდა, სპორტის სხვა სახეობაზე არც მიფიქრია. არ დაგიმალავთ, მეკარეობას ვაპირებდი, მაგრამ, როცა პირველად კარში დავდექი, მივხვდი, რომ მხოლოდ ერთ ადგილას უნდა ვმდგარიყავი, მე კი ასე თამაში არ მიზიდავდა. ამიტომ მეკარეობა გადავიფიქრე და დაცვაში დავდექი, სადაც დღემდე ვთამაშობ.

***– რამდენიმე დღეა, მეტალისტის ფეხბურთელი ხართ. როგორ შეგხვდნენ გუნდში? მოგეწონათ უკრაინა, ხარკოვი? გუნდზე რას იტყვით?***

– უკრაინაზე ბევრი მსმენია და ბევრი რამ ვიცი. აქ მეგობრებიც მყავს, ახლოს ვარ ტარას მიხალიკთან, რომელთანაც მოსკოვის ლოკომოტივში ვთამაშობდი. სიმართლე გითხრათ, ქალაქი ჯერ ვერ დავათვალიერე და ბევრს ვერაფერს გეტყვით. გუნდი კი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული. აქ ყველა პირობაა, რომ ფეხბურთი ითამაშო. ეს კი ძალიან მომწონს

***– დღევანდელ უკრაინულ ფეხბურთზე რა იცით?***

– ვიცნობ მარკო დეიჩს. მასთან ერთად რუბინში ვიყავი. ამას გარდა, უკრაინულ ფეხბურთზე ბევრი რამ მსმენია დავით ხოჭოლავასგან. ის წლების განმავლობაში დონეცკის შახტარში თამაშობდა, ჩვენ კი ერთად წლებია, საქართველოს ნაკრებში ვართ. უკრაინის ჩემპიონატს აქამდე, როგორც შემეძლო, თვალს ვადევნებდი.

***– კარიერის დასაწყისში შესაძლებლობა გქონდათ, უკრაინაში გეთამაშათ?***

– 18 წლის შახტართან ერთად თურქეთში შეკრებაზე ვიყავი, სინჯები უნდა გამევლო. საბოლოოდ გარიგება ჩაიშალა.

***– ამ წელს საქართველოს ნაკრებში იშვიათად გიწვევდნენ. ალბათ, ნაკრებში დაბრუნება თქვენი უმთავრესი ამოცანაა.***

– რა თქმა უნდა! საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. დარწმუნებული ვარ, ეროვნულ გუნდში დავბრუნდები. მიზანი არა მარტო დაბრუნებაა, ბევრი წელი მინდა, ეროვნულ გუნდში მაღალ დონეზე ვითამაშო.

***– კალაძე, კანავარო, ნესტა, მალდინი – როგორც თქვით, ესენი თქვენი საყვარელი მცველები არიან. თანამედროვე ცენტრალური მცველებიდან რომელი მოგწონთ? რა თვისებები უნდა ახასიათებდეთ თანამედროვე ცენტრალურ მცველებს?***

– დღეისთვის საუკეთესო ცენტრალურ მცველად სერხიო რამოსი მიმაჩნია. ვთვლი, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ის საუკეთესოა. საერთოდ, ყველა მცველს თავისი პლუსმინუსები აქვს. მე უფრო ხისტად მოთამაშე უკანახაზელები მომწონს.

***– გვსმენია, რომ საკმაოდ მხიარული ადამიანი ხართ.***

– ასეა, მიყვარს ხუმრობა, მხიარულება...

# კრიშტიანუ რონალდუ: „ღამე მშვიდად მძინავს და სინდისი არ მაწუხებს“

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ ბრიტანულ მედიასთან ისაუბრა.

რონალდუ პასუხობს კრიტიკოსებს, რომლებიც კრიშტიანუს გუნდის მიმართ ყველა პოზიციაზე ბრძოლისუნარიანობის გამოვლენაში ადანაშაულებენ და მის მიმართ ისმის კრიტიკა, თითქოს დაცვაში ჩამორბენითა და უკანდახევით თავს არ იწუხებს.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– ვიცი, როდის სჭირდება გუნდს ჩემი დახმარება დაცვაში და როდის – არა. თუმცა ჩემი მთავარი როლი გუნდში არის გამარჯვება, გუნდის დახმარება და გოლების გატანა. დაცვაში თამაშიც ჩემი სამუშაოს ნაწილია.

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ამის დანახვა არ სურთ, რადგან მათ არ მოვწონვარ. თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, 36 წლის ვარ, ყველაფერი მოგებული მაქვს და ისევ გამარჯვებების გზაზე ვდგავარ. თქვენი აზრით, ვიფიქრებ მათზე, ვინც ჩემზე მხოლოდ ცუდს ამბობს?

ღამით კარგად მძინავს, სინდისი არ მაწუხებს, დავხურავ პირს და ისევ გავიმარჯვებ. კრიტიკა ყოველთვის არის საქმის ნაწილი და ეს არ მაწუხებს. სიმართლე გითხრათ, ეს კარგიცაა, თუ კრიტიკა ჯანსაღია.

თუ ისინი ჩემზე ნერვიულობენ და საუბრობენ, იმიტომ ხდება, რომ მათ ჩემი ღირებულება და პოტენციალი იციან. ყველაფერი მოგებული მაქვს და მოტივაცია ჯერ კიდევ მაქვს.



ჩემი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავედი. იმ ასაკში, რომელშიც ახლა ვარ, უნდა ვეცადო, რომ ისევ გავიმარჯვო. მანჩესტერი ყოველთვის ამ დონეზე უნდა იყოს, საჭიროა გამარჯვებები და დიდი წარმატებების მიღწევა. აქ იმისთვის ვარ, რომ გუნდს ამ ყველაფერში დავეხმარო.

# ელ კლასიკოს რეკორდი და ფაქტები

ესპანეთის პრიმერა დივიზიონში სეზონის პირველი „ელ კლასიკო“ გაიმართა, რომელშიც მადრიდის რეალმა ბარსელონა სტუმრად 2:1 დაამარცხა.

მატჩში ერთი სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც, კოვიდ 19-ის პანდემიის შემდეგ, სტადიონზე ქომაგთა სარეკორდო დასწრებას გულისხმობს.

ბარსასა და რეალის ჯახს ტრიბუნებიდან თვალი 86.422 გულშემატკივარმა მიადევნა. ამ მხრივ მეორე პოზიციაზე მანჩესტერ იუნაიტედი-ვილიარეალის მატჩია (71.130), მესამეზე კი – მანჩესტერ იუნაიტედი-ევერტონის შეხვედრა (73.128).

აღსანიშნავია, რომ დასწრების მხრივ მანჩესტერს მეორიდან მეცხრე ადგილის ჩათვლით ყველა პოზიცია უკავია. როგორც გითხარით, პირველზე ბარსა-რეალმა გადაინაცვლა, ხოლო მეათეზე მექსიკა-ჰონდურასის მატჩია, რომელსაც 2021 წლის 13 ივნისს „მერსედეს-ბენც სთედიუმზე“ 70.072 მაყურებელი დაესწრო.

აქვე გთავაზობთ „ელ კლასიკოს“ კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტს:

ბარსელონამ ზედიზედ მე-4 „ელ კლასიკო“ წააგო. ასეთი რამ ბოლოს 1962-1965 წლებში მოხდა, როდესაც კატალონიური კლუბი რეალთან ზედიზედ 6-ჯერ დამარცხდა;

ბარსელონამ ზედიზედ მე-5 „ელ კლასიკო“ ვერ მოიგო. ამ მხრივ ყველაზე ცუდი სერია 2001-03 წლების პერიოდში იყო, როდესაც ბარსამ ზედიზედ 8-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო;

„კამპ ნოუზე“ გამართული ბოლო 9 „ელ კლასიკოდან“ ბარსელონამ მხოლოდ ერთის მოგება შეძლო. ბურთების შეფარდება – 13-15;

სერხიო აგუერომ ბარსელონაში სადებიუტო გოლი რეალს გაუტანა. ასეთი რამ ბოლოს არტურო ვიდალს ჰქონდა გაკეთებული;

აგუეროს რეალი არასდროს დაუმარცხებია, არადა, „ბლანკოსის“ კარი უკვე 5-ჯერ აქვს აღებული, მაგრამ რეალის წინააღმდეგ ჩატარებული 15 მატჩიდან (ატლეტიკოს, სიტისა და ბარსელონის რიგებში) „სამეფო კლუბმა“ 10 მოიგო, 5 კი ფრედ დასრულდა;

რონალდ კუმანის გაწვრთნილ ბარსელონას გრანდების წინააღმდეგ (იუვენტუსი, პსჟე, ბაიერნი, ატლეტიკო, რეალი) მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს მოპოვებული, 2 ფრე და 8 წაგება.

კარლო ანჩელოტიმ „კამპ ნოუზე“ პირველად იმარჯვა. აქამდე ჩატარებულ 5 მატჩში მის შედეგს 2 ფრე და 3 მარცხი წარმოადგენდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

25 ოქტომბერი
ფეხბურთი

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-სელტა ............ 0:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 10 | 6 | 3 | 1 | 14-9 | 21 |
| 2.რეალი | 9 | 6 | 2 | 1 | 24-11 | 20 |
| 3.სევილია | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 9 | 5 | 3 | 1 | 13-8 | 18 |
| 5.ბეტისი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-11 | 18 |
| 6.ოსასუნა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-13 | 18 |
| 7.რაიო | 10 | 5 | 1 | 4 | 17-12 | 16 |
| 8.ბილბაო | 9 | 4 | 4 | 1 | 9-5 | 16 |
| 9.ბარსელონა | 9 | 4 | 3 | 1 | 15-10 | 15 |
| 10.ვალენსია | 10 | 3 | 4 | 3 | 15-13 | 13 |
| 11.ესპანიოლი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 12.მალიორკა | 10 | 3 | 3 | 4 | 9-15 | 12 |
| 13.ვილიარეალი | 9 | 2 | 5 | 2 | 10-7 | 11 |
| 14.სელტა | 10 | 3 | 1 | 6 | 10-12 | 10 |
| 15.ელჩე | 10 | 2 | 4 | 4 | 8-12 | 10 |
| 16.გრანადა | 9 | 1 | 4 | 4 | 7-13 | 7 |
| 17.კადისი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-15 | 7 |
| 18.ალავესი | 9 | 2 | 0 | 7 | 4-13 | 6 |
| 19.ლევანტე | 10 | 0 | 5 | 5 | 9-18 | 5 |
| 20.ხეტაფე | 10 | 0 | 2 | 8 | 3-16 | 2 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-სარაგოსა ............ 1:1

## საფრანგეთი. ლიგა 2

ოსერი-ბასტია ............ 1:0

## პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ჟილ ვისენტე-ბრაგა ............ 0:1
ბოავიშტა-ბელენენსეში ............ 0:0

## რუსეთი. პრემიერლიგა

ლოკომოტივი-სოჭი ............ 2:1

## თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-გალათასარაი ............ 2:1 (1:1)

## დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-ვიბორგი ............ 2:5

## შვედეთი. ალსვენსკა

იორებრო-დეგერფორსი ............ 1:2

**განცხადებები**

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# ქართული დერბი ოკეანის გაღმა

ქართული დუელი პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში შედგა. ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ერთმანეთს გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსი და სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსი შეხვდნენ. მატჩი ინდიანაპოლისში გაიმართა და მილუოკელთა გამარჯვებით – 119:109 დასრულდა.

2014 წლის შემდეგ, როდესაც მოედანზე ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია გადაიკვეთნენ, მსგავსი ფაქტი არ მომხდარა. ამის შანსი ახლაც ნაკლებად იყო, რადგან განვლილ 3 მატჩში, რომლებიც აქამდე ინდიანას ჩაუტარებია, ბითაძე მოედანზე არ გასულა.

მილუოკისთან გოგას მოედანზე გასვლის შანსი სეზონში პირველად მიეცა, ამასთან – საკმაოდ დიდი როლით. გოგას ხშირად უწევდა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის, იანის ადეტოკუმბოს წინააღმდეგ დაცვაში თამაში და შეტევაშიც დასამახსოვრებელი ეპიზოდები ჰქონდა. აღსანიშნავია ის, რომ გოგასთვის ეს ნბა-ში საიუბილეო, მე-100 შეხვედრა იყო.

ბითაძემ ბაქსის წინააღმდეგ 18 წუთი ითამაშა, რა დროშიც მან 7 ქულა, 9 მოხსნა (7 შეტევაში), 1 პასი და 2 ჩაჭრა დააგროვა. მან 3-დან 1 სამქულიანი გამოიყენა და 5-დან – 1 ორქულიანი. ის საჯარიმოს ხაზთან 2-ჯერ დადგა და ორივეჯერ ზუსტი იყო.

მამუკელაშვილმა კი ნბა-ს ზედიზედ მე-4 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ამჯერად 10 წუთი ითამაშა. სანდრომ 2 ქულისა და 3 მოხსნის (1 შეტევაში) დაგროვება მოასწრო, პერიმეტრიდან ბურთის ჩაგდება ერთხელ ცადა და – უშედეგოდ, 2-ქულიანი კი ერთხელ ისროლა და – ზუსტად.



რაც შეეხება შეხვედრას, პირველი სამი მეოთხედი მაიკ ბუდენჰოლცერის გუნდი უპირატესობას ფლობდა. მეოთხე მეოთხედის დაწყებამდე ბაქსი 15 ქულის სხვაობით იგებდა. ბოლო პერიოდში პეისერსი გამოფხიზლდა, რაც დიდწილად გუნდის დაცვაში კარგი თამაშით იყო გამოწვეული, ერთ მომენტში 5 ქულამდეც კი ჩამოიყვანა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც დამარცხდა.

მატჩში საუკეთესო იანის ადეტოკუნმბო იყო, რომელსაც სამმაგ დუბლამდე ძალიან ცოტა, 1 პასი დააკლდა. მის ანგარიშზე 30 ქულა, 10 მოხსნა და 9 პასია, კრის მიდლტონს 27 ქულა ჰქონდა. პეისერსში კი ყველაზე შედეგიანი მალკოლმ ბროგდონი იყო 25 ქულით, ორმაგი დუბლი გაიფორმა დომანტას საბონისმა, რომელსაც 21 ქულა და 13 მოხსნა დაუგროვდა.

ინდიანა პეისერსს ამ სეზონში 4 მატჩიდან 3 წაგება აქვს, მილუოკი ბაქსს კი – 4-დან 3 მოგება. შემდეგ შეხვედრას ორივე გუნდი 28 ოქტომბერს გამართავს. ბითაძის გუნდი ტორონტო რეპორტსს ესტუმრება, მამუკელაშვილის გუნდი კი მინესოტა ტიმბერვულვზს უმასპინძლებს.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში მეშვიდე ტურის მატჩები გაიმართა. ბექა ბურჯანაძის ბეტისმა ობრადარიოს უმასპინძლა და 76:87 დამარცხდა.

ბურჯანაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იყო. მან 22 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა და თითო პასი-დაფარება მოაგროვა. სროლის სიზუსტე არ დაეწუნებოდა – 6-დან 4 ორქულიანი, 7-დან 5 საჯარიმო. მარგი ქმედების კოეფიციენტით ის მხოლოდ ევანსს (27) ჩამორჩა. ბექას სარგებლიანობის კოეფიციენტი 20 იყო.

ბეტისს 7 ტურში 1 მოგება აქვს, მომდევნო მატჩს კი ვალენსიის წინააღმდეგ გამართავს.

ვერ გაიმარჯვა გიორგი შერმადინის გარეშე მოთამაშე ტენერიფემ, რომელმაც საშინაო არენაზე ხუვენტუდთან 72:79 დათმო. შერმადინი წელის ტრავმას მკურნალობს. როგორც თავად გვითხრა, რეაბილიტაცია გეგმურად მიმდინარეობს და მოედანს მალე დაუბრუნდება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ალექსანდრე ფევაძემ კი ესპანეთში გამორჩეული მატჩი ჩაატარა. მას შემდეგ, რაც გრან კანარიაში გადავიდა, 23 წლის ქართველმა საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ესპანეთის რანგით მესამე ლიგაში კანარელები ვალენსიას ესტუმრნენ და 87:83 გაიმარჯვეს.

ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 38 წუთი გაატარა და 22 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ფევაძემ 10-დან 7 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

# ოქროს ბურთის მთავარი კანდიდატი ლეო მესია



ესპანური მედია წერს, რომ „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლა ფინიშის სწორს გავიდა, მაგრამ ინტრიგა აღარ არსებობს. როგორც ირკვევა, წელს „ოქროს ბურთს“ მეშვიდედ აიღებს არგენტინელი ვარსკვლავი ლეო მესი. „ფრანს ფუტბოლი“ გამარჯვებულს 29 ნოემბერს დაასახელებს.

როგორც ესპანელები წერენ, არგენტინელმა მორიგი ფანტასტიკური წელიწადი ჩაატარა. შემდეგ მოჰყავთ სხვადასხვა ფეხბურთელისა თუ მწვრთნელის აღფრთოვანებული გამონათქვამები პლანეტის ჯერჯერობით ექვსგზის საუკეთესო მოთამაშის შესახებ. აი, მაგალითად, მესის უახლოეს მეგობარს, ურუგვაელ ლუის სუარესს, ინტერვიუში უთქვამს:

– როდესაც „ოქროს ბურთის“ კანდიდატებს განიხილავ, მარტო იმას კი არ უნდა შეხედო, ვინ ითამაშა ამ წელიწადს კარგად, არამედ იმას, ვინ როგორი ფეხბურთელია. მე მწამს, რომ მესის კონკურენტი არ ეყოლება.

ესპანური მედიის აზრით, არგენტინელს 2021 წელს თავისი დიდებული სვლა არ შეუნელებია. მან ბარსელონის, პარი სენ ჟერმენისა და არგენტინის ნაკრების მაისურით 48 შეხვედრაში 40 გოლი გაიტანა და 14 საგოლე პასი შეასრულა.

ბარსელონის შემადგენლობაში მესიმ მოიგო ესპანეთის სამეფო თასი, ხოლო არგენტინის ნაკრებთან ერთად „კოპა ამერიკა“ აღმართა.

იტალიის ნაკრებისა და ჩელსის ნახევარმცველმა, 2020 წლის ევროპის ჩემპიონმა და გამოკითხვაში მესის კონკურენტმა ჟორჟინიომ ვეტერან ანტონიო კასანოსთან საუბარში თქვა, „ოქროს ბურთი“ მესის ნაცვლად მე რომ მომცენ, ნამდვილი სკანდალი იქნება, რადგან ამ ჯილდოს ყოველთვის არგენტინელი უნდა იგებდესო.

პარი სენ ჟერმენის მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ აღნიშნა, რომ „ოქროს ბურთი“ მესიმ უნდა მოიგოს.

თავად არგენტინელმა კი ამასწინათ მოკრძალებით თქვა:

– თავს ფავორიტად არ ვგრძნობ. საერთოდ არ მიყვარს შედეგების გამოცხადებამდე ამ თემაზე ლაპარაკი. თუ გავიმარჯვებ, დიდებული იქნება.

შეგახსენებთ, რომ მესიმ „ოქროს ბურთი“ ბოლოს 2019 წელს მოიგო, სულ კი აქამდე ექვსჯერ მოუგია, რაც აბსოლუტური რეკორდია.



# ნინო სალუქვაძე საერთაშორისო ფედერაციამ დააჯილდოვა

სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელს, 9 ოლიმპიადის მონაწილეს, ლეგენდარულ ნინო სალუქვაძეს სროლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ ლისინმა სპეციალური ჯილდო გადასცა.

კვიპროსში გაიმართა ევროპის სროლის კონფედერაციის არჩევნები, სადაც იმყოფებოდნენ სეოკ-ისა და სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ნინო სალუქვაძე და სროლის სახეობათა ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი თამაზ იმნაიშვილი.

ჯილდოების გადაცემა კი გამოსამშვიდობებელ საღამოზე მოხდა, სადაც სალუქვაძესთან ერთად ეროვნულ ფედერაციაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის სპეციალური ჯილდო თამაზ იმნაიშვილსაც გადაეცა.

საქართველოში სროლის სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ასევე დაჯილდოვდა საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაცია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# სამგლოვიარო განცხადებები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები გურამ კვიკვინია, რეზო ხაინდრავა, ენვერ არველაძე და გელა ჩილაჩავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრისა და კოლეგის

**ბექან აკობიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. სიმღერის შესრულება აკომპანემენტის გარეშე; 3. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 4. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული, დესერტი; 11. ეთერზეთების შემცველი, ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი წვენი; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 19. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

**თარაზულად:** 1. მსხვილი, სურნელოვანი თეთრი ყვავილის მქონე დეკორატიული მცენარე; 5. კომბინაცია პოკერში; 7. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 9. აშშ-ის კონგრესის შენობა; 10. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის შაქრად გარდაქმნას ორგანიზმში; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. სოკოების გამრავლების ორგანო; 20. მოკლელულიანი შაშხანა; 22. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 23. ყველაზე დიდი ქალაქი სიცილიაში; 24. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 25. ზნეობრივი ხასიათის მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაზა; 2. ობი; 3. პანიტერია; 4. შრატი; 5. სიმონია; 8. რაჯა; 9. მატიანე; 10. ესტაფეტა; 12. ღვაწლი; 13. ოჰარა; 15. სეული.

**თარაზულად:** 1. ფიდელიო; 6. ჟანდარმი; 7. ზურნა; 10. ეთიკა; 11. იჯარა; 13. ონიმა; 14. ტოსკა; 16. წუღა; 17. არაბული; 18. აფრიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მერკური; 2. ემბრიონი; 3. ანოფელესი; 4. ჰორაციო; 5. მიტელშპილი; 10. ჰამერი; 11. კუროსავა; 12. ბოცმანი; 13. ეკიპაჟი; 16. შარლატანი; 17. კარავაჯო; 19. ასპარუხი; 21. ჰაიტი; 23. ფოლგა.

**თარაზულად:** 6. დეკამერონი; 7. კოფეინი; 8. ნუტრია; 9. დემენცია; 14. სკრეპერი; 15. პაციფისტი; 18. ლავრა; 20. ლაშქარი; 22. ყიფიანი; 24. ხარება; 25. მალაქიტი; 26. ელგუჯა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.1428 |
| ევრო | — 3.6519 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.3427 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5287 |

## ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისათვის




## დემბელემ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა



ბარსელონის ფორვარდმა უსმან დემბელემ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და სათამაშოდ მზად არის, თუმცა, არავინ იცის, როდის დაბრუნდება ის მინდორზე.

დემბელემ ტრავმა ევროპის ჩემპიონატზე მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა. ზოგადად, უსმანს ბარსელონაში გადასვლის შემდეგ ტრავმები ხშირად აწუხებს. ამჯერად დემბელემ 4 თვე გამოტოვა და, შესაძლოა, მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს.

## მარსელომ, შესაძლოა, რეალი დატოვოს



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ, შესაძლოა, გუნდი დატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს. მარსელოს თავის რიგებში ხილვა ფლუმინენსეს სურს, სადაც ბრაზილიელმა დაიწყო თავისი კარიერა.

ბოლო პერიოდში მარსელო იშვიათად გამოდის მოედანზე და ამის გამო, ბუნებრივია, უკმაყოფილოა.

მარსელო რეალში 2007 წელს გადავიდა და გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

## რომანიოლი კარიერას იუვენტუსში გააგრძელებს



მილანის ცენტრალური მცველი ალესანდრო რომანიოლი კარიერას იუვენტუსში გააგრძელებს. ამის შესახებ ინფორმაცია იტალიურ პრესაში ვრცელდება.

რომანიოლიმ მილანთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა და ეს გადაწყვეტილება მის იუვენტუსში ტრანსფერს უკავშირდება.

რომანიოლი რამდენიმე წლის წინ იტალიაში ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა მცველად ითვლებოდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „მასტერშეფი“ გიორგი ჩიგოგამ დატოვა



კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. შოუს შეფების თეკუნა გაჩეჩილაძის, კონსტანტინე თედელურისა და ლუკა ნაჭყებიას გადაწყვეტილებით, „მასტერშეფის“ სამზარეულოს გიორგი ჩიგოგა დაემშვიდობა.

კონკურსანტების თავდაუზოგავი ბრძოლისა და მაქსიმალური მონდომების მიუხედავად, შეფებმა ის გავარდნის კანდიდატები დაასახელეს, რომელთა კერძებიც მათთვის ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდა.

წარდგენილ კანდიდატთა შორის კი შეფებმა სახლში გიორგი ჩიგოგას გაშვების გადაწყვეტილება მიიღეს.

## ასტროპროგნოზი

### 27 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

კაცი ქალს ეუბნება:

– არ მინდა უზრდელად ჩამთვალოთ, მაგრამ სიამოვნებით გიხმარდით.

– არ მინდა მეძავად ჩამთვალოთ, მაგრამ თანახმა ვარ.

●●●

ერთი გოგონა მეორეს ეუბნება:

– რა ლამაზი კატა გყავს. მათხოვე რა, სახლში უამრავი თაგვი გვყავს.

– არა, უკეთესი იქნება, შენ თაგვებს თუ ჩვენთან წამოიყვან.

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– ისე ძალიან მომეწონეთ, რომ მინდა პაემანზე დაგპატიჟოთ.

– კი მაგრამ, გათხოვილი ვარ!

– არ ინერვიულოთ, თქვენ ქმარს არ დავპატიჟებ.

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ფეხმძიმობის ტესტი გავიარე.

– რთული შეკითხვები იყო?

●●●

პაციენტი ფსიქოთერაპევტს ეკითხება:

– ექიმო, ბოლოდ დროს ძალიან მაწუხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა!

– აბა რას ამბობთ, არანაირი ჩვენი ეკონომიკა არ არსებობს. თქვენ ალკოჰოლს ზედმეტად ხომ არ მოიხმართ!?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დაიწყო

ტელეკომპანია „იმედზე“ ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეათე საიუბილეო სეზონით დაბრუნდა.

ოქროს სეზონის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს წინა სეზონების გამარჯვებულმა ვარსკვლავებმა.

შოუს წამყვანებმა დუტა სხირტლაძემ, მანიკა ასათიანმა, ეკა ამირეჯიბმა და კახა კინწურაშვილმა საზოგადოებას კონკურსანტები და ჟიურის წევრები გააცნეს.

მეათე საიუბილეო სეზონზე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეებს შეაფასებს ჟიური გოჩა ჩერტკოევის, ირმა ნიორაძისა და ირაკლი მაქაცარიას შემადგენლობით.

ახალ სეზონში 11 წყვილი იცეკვებს. ვარსკვლავებს შორის არიან მსახიობები, სპორტსმენები, მოდელები, მომღერლები, დიზაინერები.

შოუს ხელმძღვანელებმა კონკურსანტები და პროფესიონალი მოცეკვავეები ასე დააწყვილეს: დიზაინერი ზალიკო ბერგერი და ხათუნა ოქიტაშვილი, მომღერალი ნოდარიკო ხუციშვილი და მზია ორველაშვილი, მოდელი სალომე ღვინიაშვილი და ლევან ახვლედიანი, კალათბურთელი გიგა კვეტენაძე და ირა ვირტინსკაია, მსახიობი ლაშა გურგენიძე და კარინა ლისენკო, იუმორისტი გიორგი გაბუნია და ჯულიანა ბარ გნარი, ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა და რატი გაჩეჩილაძე, მსახიობი ანა ამილახვარი და ირაკლი ძაძამია, მოდელი თათია თექთურმანიძე და ოთო ფოლადაშვილი, მსახიობი გიორგი გასვიანი და ელენე დავითაია, ბლოგერი თი მაჭავარიანი და ერეკლე გირგვლიანი.

## მაიკო ლაფაჩი უნგრეთის სილამაზის კონკურსის გამარჯვებულია



უნგრეთში გამართულ სილამაზის საერთაშორისო კონკურსზე „მის ევროპა იუნიონ 2021“ საქართველოს წარმომადგენელმა, სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელმა მაიკო ლაფაჩმა გაიმარჯვა. ის ნოემბერში დუბაიშია მიწვეული, სადაც საერთაშორისო მოდის კვირეული ჩატარდება.

სილამაზის საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც 30 ქვეყანა მონაწილეობდა, საუკეთესოდ საქართველოს წარმომადგენელი დასახელდა.

**მაიკო ლაფაჩი:**

– სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, ჯერ კიდევ ვღელავ. უბედნიერესი ვარ და სავსე ზღვა ემოციებისგან. ჯერაც ვერ ვიჯერებ, რომ ევროპის ამდენ ქვეყანას შორის საქართველო გახდა პირველი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მხოლოდ ჩემი, ერთი ადამიანის გამარჯვება არ არის! ყველამ ერთად შევძელით და კიდევ ერთხელ გახდა ჩვენი ქვეყანა საუკეთესო. ძალიან გრძელია ის სიაა, ვისაც ჩემს წარმატებაში წვლილი მიუძღვის. არასოდეს დავიღლები თქვენთვის მადლობის გადახდით.

პირველ რიგში მადლობა ეკა მგალობლიშვილს, რომ მე წარმადგინეთ საქართველოდან და მერე ბოლომდე იბრძოლეთ, რომ ჩვენი ქვეყანა არ დაჩაგრულიყო და ყველაფერი გამჭვირვალედ ჩატარებულიყო.

## „ჰერალდიკა და ისტორიულ პირთა პორტრეტები“ ხელოვნების სასახლეში გამოიფინება



29 ოქტომბრიდან ხელოვნების სასახლე მხატვარ-ილუსტრატორისა და ჰერალდიკოსის ზაქარია (ზაზა) კიკნაძის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლებს.

„ჰერალდიკა და ისტორიულ პირთა პორტრეტები“ – ასეთია ექსპოზიციის სახელწოდება, სადაც დამთვალიერებელი ძალიან საინტერესო ნამუშევრებს გაეცნობა.

იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ხელოვანი მუშაობდა ხატვისა და ხელოვნების ისტორიის პედაგოგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საშუალო სკოლებში, აფორმებდა წიგნებს, იყო სიმბოლიკის სახელმწიფო კომისიის წევრი, არის საქართველოს დღევანდელი ჰერალდიკურ-ვექსილოლოგიური სიმბოლიკის – გერბი, დროშა – კონცეფციის ერთ-ერთი თანაავტორი.

ამ კონკრეტული სერიის შექმნა განაპირობა ავტორის ინტერესმა საკუთარი გენეალოგიისა და წინაპრების მიმართ. ავტორმა გაითვალისწინა ევროპის სხვა ქვეყნებში მიღებული ტრადიცია, რომლის თანახმადაც, წარსული ეპოქის წარმომადგენლებს ანაქრონისტულად და ხშირად იმ რეგიონისთვის არადამახასიათებელ სამოსელში გამოწყობილებს გამოსახავდნენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისტორიული პირების გამოსახვის მსგავსი იდეა საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა.

ისტორიულ პირთა პორტრეტების უმრავლესობა, გამოსახული პირების თანადროული პორტრეტების არარსებობის გამო, ავტორის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ზოგი პირი მართლაც მისი პერიოდისთვის დამახასიათებელ ისტორიულ სამოსელშია გამოწყობილი, ზოგიც კი – ისეთ სამოსელში, რომელიც საქართველოში ან საერთოდ არ იყო გავრცელებული, ან კიდევ ძალზე უმნიშვნელოდ იხმარებოდა.

პორტრეტებზე განთავსებული წარწერები მეტწილად შუა საუკუნეების ლათინურ ენაზეა.

გერბებზე მუშაობისას ავტორმა ძირითადად XVI-XVIII საუკუნეების ევროპისთვის დამახასიათებელ მანიერიზმისა და ბაროკოს სტილზე შეაჩერა არჩევანი. საგერბო ფარების უმრავლესობა ავტორმა ზემოთქმულ პერიოდში პოპულარული კარტუშების ფორმით გამოსახა. გერბების უმრავლესობა ეყრდნობა ისტორიულ გერბთა ან სრულ და ან კიდევ ნაწილობრივ შემადგენლობას. გამონაკლისს მხოლოდ ჯორჯაძეთა გერბი წარმოადგენს. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სადღეისოდ თავად ჯორჯაძეთა ისტორიული გერბის მოძიება ვერ მოხერხდა, ავტორმა თავს სრულიად ახალი გერბის შექმნის უფლება მისცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ისტორიულ ქართულ გერბთა უდიდესი უმრავლესობა თვითმინიჭებული იყო და უზენაესი ხელისუფლების მიერ არ იყო დამტკიცებული. ხშირად ეს გერბები პატრონის პირადი ნებით იქმნებოდა და იცვლებოდა და ჰერალდიკისთვის არადამახასიათებელ ელფერს იღებდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ავტორის მთავარ მიზანს გერბების ჰერალდიკის კანონებთან სრულ თანხვედრაში მოყვანა და მათი ვიზუალური სახის გამოსწორება წარმოადგენდა.

ავტორის კონცეფციის თანახმად, გერბებს შესაბამისი გვარების ერთი ან რამდენიმე წარმომადგენლის პორტრეტი ერთვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. პროვინცია კანადაში; 2. ლეონარდო და ვინჩის შედევრი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 4. თბილისის მმართველი მე-9-12 საუკუნეებში; 5. ტბა უნგრეთში; 7. თევზის ძვალი; 11. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 16. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. ცნობილი ფრანგი შანსონიე ქალი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 20. მტრედის ბარტყი; 22. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისთვის გადაცემის შესახებ.

**თარაზულად:** 6. მე-18 საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე; 8. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ქართული კონიაკი; 10. იაპონური თოჯინების თეატრი; 12. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 14. შვედური კომპანია, „იკეას“ მფლობელი; 19. თოფის ნაწილი; 21. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 23. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 24. თაღლითური გზით წარმოებული საქმე; 25. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 26. ლამაზად, მოხდენილად ჩაცმა-დახურვის მოყვარული მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*